

**თარგმანის კვლევების დასავლური პარადიგმები:
ინტერდისციპლინური პერსპექტივა
დესკრიფციული და ფუნქციური პარადიგმები**

1980-იან წლებში თანამედროვე ლინგვისტიკასა და ზოგადად, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კულტურასთან დაკავშირებული ასპექტების ინტეგრირება თარგმანის კვლევებზეც აისახა. ამ პერიოდში შექმნილი თარგმანის თეორიები ხშირად ურთიერთგამომრიცხავი და, შესაბამისად, საკამათოც ჩანდა. თუმცა მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში სწორედ პლურალიზმი გახდა თარგმანის კვლევების განმსაზღვრელი ნიშანი. მიუხედავად არაერთგვაროვნებისა – როგორც წმინდა თეორიული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, რაც სხვადასხვა დისციპლინის ინტეგრირების შედეგად იყო – თარგმანის კვლევები დაეყრდნო საერთო კონცეფციას, რომლის თანახმადაც ტექსტები განუყოფლად ეკუთვნის კონკრეტულ სოციოკულტურულ სივრცეს, განიცდის მოცემული დროისთვის აქტუალური ტრადიციის, ესთეტიკისა თუ იდეოლოგიის გავლენას და ემსახურება კონკრეტულ მიზანს. აქცენტის ცვლილებას თარგმანის კვლევებში „კულტურული გარდატეხა“ (cultural turn) ეწოდა (Bassnett and Lefevere 1997:113-136; Snell-Hornby 2006:60). ეს ტრანსფორმაცია კი თარგმანის კვლევების ლინგვისტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობისგან საბოლოო ემანსიპაციას ნიშნავდა.

კულტურული გარდატეხის შესაბამისად, თარგმანის საწყისი კონტექსტიდან ფოკუსმა სხვადასხვა პარადიგმის ფარგლებში სამიზნე ენასა და კულტურაზე გადაინაცვლა, რაც თარგმანის კვლევების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად იქცა. ამ ცვლილებამ თარგმანის ერთეულის შემდგომი გაფართოება განაპირობა და უმსხვილესი ერთეულის სტატუსი ტექსტის ნაცვლად კულტურას მიანიჭა (Pym 2014:143). სტატიაში განვიხილავთ თეორიულ-მეთოდოლოგიური პერსპექტივის

ცვლილების შედეგად ჩამოყალიბებულ ორ კვლევით პარადიგმას: დესკრიფციულსა და ფუნქციურს.

დესკრიფციული თეორიები

ჯეიმზ ჰოუმზის მოდელის მიხედვით გიდეონ ტურის მიერ შემუშავებული თარგმანის კვლევების ზოგადი „რუკა“ (Holmes 2004:176-183; Toury 1995:9-14) „წმინდა“ და გამოყენებით სფეროებს აერთიანებს. პირველი მოიცავს ორ მიმართულებას: i) თეორიულს (ThTs), რომელიც შეიძლება იყოს როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ ასპექტზე (მედიაზე, არეალზე, რანგზე, დისკურსის ტიპზე, პერიოდზე ან პრობლემაზე) ფოკუსირებული და ii) დესკრიფციულს (DTS), რომელიც კვლევის ემპირიული განზომილებაა და პროდუქტზე, ფუნქციაზე ან პროცესზე არის ორიენტირებული. გამოყენებითი სფეროს ფარგლებში თარგმანის სწავლების, დამხმარე მთარგმნელობითი რესურსების, თარგმანის პოლიტიკისა და კრიტიკის საკითხები განიხილება. თავად ჰოუმზი პრიორიტეტს ემპირიულ, ანუ დესკრიფციულ, ისტორიულად ორიენტირებულ მიმართულებას ანიჭებდა.

როგორც ცნობილია, თარგმანის ადრეულ თეორიებში დამკვიდრებული „ერთგულების“ ცნება მეოცე საუკუნეში ტრანსფორმირდა, როგორც ეკვივალენტობა, 1980-იანი წლებიდან კი, თეო ჰერმანსის აზრით, იგი მთარგმნელობითი ნორმების ცნებამ ჩაანაცვლა (1996:25). ეკვივალენტობისა და მთარგმნელობითი ნორმების ცნებები თარგმანის თეორიების სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების პერიოდს უკავშირდება და ამდენად, გარკვეულ თეორიულ და მეთოდოლოგიურ პერსპექტივასთან ასოცირდება. მთარგმნელობითი ეკვივალენტობის შესწავლა, მისი სოციოპრაგმატიკული და ფუნქციური ბუნების მიუხედავად, 1960-70-იანი წლების ლინგვისტური და ლინგვოსემიოტიკური მეთოდოლოგიური ჩარჩოსა და შესაბამისი კატეგორიების საფუძველზე წარმართა. 1970-იანი წლებიდან კი ჰოუმზის ნაშრომებმა ნიადაგი მოუზადა თარგმანის კვლევების ახალ, დესკრიფციულ პარადიგმას, რომელმაც არათუ გააფართოვა, არამედ შეცვალა არსებული ლინგვოსემიოტიკური მეთოდოლოგიური ფოკუსი.¹

1 სტატიაში „ლექსის თარგმნის ფორმები და ლექსის ფორმის თარგმანი“ (Forms of Verse Translation and the Translation of Verse Form) ჰოუმზი გამოყოფს პოეტური ტექსტის თარგმნის ექვს შესაძლო ფორმას: პროზაულს, მიმეტრიკურს, ანალოგიურს, ორგანულს ანუ შინაარსობრივად განპირობებულს და უცხოს/არაორგანულს, რომლებიც შეესაბამება „სხვადასხვა ისტორიულ სიტუაციას“ (1970a:95-96; Pym 2010:67). მისი აზრით, უცხო/არაორგანული ფორმით თარგმნის გარდა, რომელსაც, ჩვეულებრივ „მეტაპოეტები“ მიმართავენ, მთარგმნელის არჩევანი კულტურულად არის მარკირებული (67).

მთარგმნელობითი დესკრიფტივიზმის მთავარი პრინციპია სამიზნე ტექსტისა და კულტურის პრიორიტეტის აღიარება – თარგმანი განიხილება, როგორც მიმღები კულტურის ფაქტი (Toury 1995a:136). ამ პარადიგმის ფარგლებში გამოირჩევა ითამარ ევენ-ზოჰარისა და გიდეონ ტურის პოლისისტემების და ნორმების თეორიები და ე.წ. „მანიპულაციის სკოლა“.

პოლისისტემების თეორია

პოლისისტემების თეორია, რომელიც ევენ-ზოჰარმა შეიმუშავა და ტურიმ განავრცო, ითვალისწინებს როგორც რუსი ფორმალისტების,² ისე 1960-70-იანი წლების აღმოსავლეთი ევროპის სააზროვნო სკოლებისა³ და ამავდროულად პერიოდის ჰოლანდიელი და ბელგიელი თარგმანმცოდნეების (მაგ., ჰოუმზის, ლეფევერის და ვან დერ ბრუკის) თეორიებს (Gentzler 2001:108).

პოლისისტემების თეორიაში ნათარგმნი ლიტერატურა განიხილება, როგორც კონკრეტულ საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცეში ფორმირებული ლიტერატურული პოლისისტემის ერთ-ერთი ელემენტი. სამიზნე კულტურასა და ლიტერატურაში თარგმანი ცენტრალურ ან პერიფერიულ ადგილს იკავებს იმის მიხედვით, თუ განვითარების რა ეტაპზეა თავად სამიზნე პოლისისტემა ან მისი ცალკეული ჟანრი. განმსაზღვრელია არა წყარო და სამიზნე ტექსტებს შორის შესაბამისობის შეფასება, არამედ სათარგმნი ტექსტის შერჩევის კრიტერი-

2 ტერმინი „ლიტერატურული სისტემა“; როგორც კანონზომიერი მიმართებების საფუძველზე დაკავშირებული ლიტერატურული ტექსტების სტრუქტურა, იური ტინიანოვისგან არის ნასესხები (Тынянов 1929, 1977). პოლისისტემების თეორიას გენცლერი ასევე უკავშირებს რუსული ფორმალისტების კიდევ ერთი წარმომადგენლის, ბორის ეიხენბაუმის ხედვებს ლიტერატურის კავშირზე ისტორიულ-კულტურულ პროცესებთან (Эйхенбаум 1927, 1929). აღსანიშნავია, რომ ეიხენბაუმი და ტინიანოვი, გარკვეული თვალსაზრისით, გაემიჯნენ ლიტერატურული ტექსტის ავტონომიურად კვლევის პრინციპს და ისტორიული და სოციალური პერსპექტივით გაამდიდრეს ფორმალისტური თეორია. ტინიანოვმა ახლებურად გაიაზრა ფორმალისტის ორი ძირითადი ცნება, ე.წ. „ლიტერატურულობა“ და „გაუცხოება“. ამ ტენდენციის მიუხედავად, კრიტიკოსების აზრით, ზოგად ფორმალისტურ მოდელზე დაფუძნებული პოლისისტემების თეორია გარკვეულწილად დაუპირისპირდა საკუთარ (დესკრიფტივიზმის) ფუძემდებლურ კონცეფციას – კულტურულად მარკირებული ლიტერატურული ტექსტების იდეას (Gentzler 2001:110-114, 121).

3 მაგ., სლოვაკი თარგმანმცოდნე, ანტონ პოპოვიჩი მთარგმნელობით ტრანსფორმაციებს („გამოხატვის ტრანსფორმაციებს“) აფასებს არა როგორც ხარვეზს, არამედ როგორც ორი სხვადასხვა ენისა და კულტურის მოცემულობათა რეალიზაციას და მათ დიალექტიკურად უკავშირებს ორიგინალობისადმი ერთგულების ცნებას (Popovič 1970; Hatim 2013:73).

უმი, თარგმანის სოციოკულტურული ფუნქცია, პოზიცია და მნიშვნელობა ახალ გარემოში, სამიზნე პოლისისტიემის სხვა ერთეულებთან მიმართება და მის ძირეულ პროცესებში მონაწილეობა. ამგვარად, თარგმანი, რომელსაც ლიტერატურის თეორიაში „მეორადი“ ტექსტის სტატუსი ჰქონდა, დესკრიფტივისტიების ნაშრომებში თვისებრივად განახლებულ ჭრილში განიხილება. ამავე დროს, თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. მაღალ და დაბალ ლიტერატურულ ჟანრებს.

თარგმანის როლს ევენ-ზოჰარი ნაციონალური კულტურის ფორმირებას უკავშირებს (2004:199-204). მისი აზრით, თუ ნათარგმნი ტექსტი ცენტრალურ ადგილს იკავებს ახალ პოლისისტიემაში, ის სამიზნე ლიტერატურის ინოვაციურ პროცესებში ერთვება. ჟანრობრივ და თემატურ სიახლესთან ერთად, სამიზნე პოლისისტიემაში მკვიდრდება ახალი პოეტური ენა და კომპოზიციური მოდელები. ტექსტები, რომელთა შერჩევასა და თარგმნაშიც აქტიურად მონაწილეობენ სამიზნე კულტურის ავტორიტეტული წრეები, შეიძლება ერთგვარ „პროგრამულ“ ნაშრომებადაც იქცეს.⁴ გარკვეულ შემთხვევებში, „თარგმანსა“ და „ორიგინალს“ შორის არსებული ზღვარი სუსტდება ან იშლება, რაც ე.წ. „კვაზი-თარგმანებს“ წარმოშობს (მაგ., თარგმანის რომაული ტრადიცია).

ევენ-ზოჰარის აზრით, თარგმანმა, შესაძლოა, ცენტრალური ადგილი დაიკავოს სამიზნე პოლისისტიემაში, თუ: ა) ეს უკანასკნელი ჯერ არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული („კრისტალიზებული“); ბ) სამიზნე პოლისისტიემაში ნათარგმნი ტექსტის შესაბამისი ლიტერატურული სისტემა პერიფერიული ან სუსტია; გ) სამიზნე ლიტერატურა ცვლილებას ან კრიზისს განიცდის – არსებული ლიტერატურული მოდელებიდან ვერც ერთი ვერ იკავებს წამყვან პოზიციას, რაც ერთგვარ ლიტერატურულ „ვაკუუმს“ წარმოშობს.

პირველ შემთხვევაში განვითარების შედარებით ადრეულ ეტაპზე „დამწყები“ ლიტერატურა ცდილობს, მაქსიმალურად „ისარგებლოს“ სხვა მოწინავე პოლისისტიემის ტრადიციით და რაც შეიძლება მეტი ლიტერატურული ჟანრი თუ ფორმა შექმნას საკუთარ (ადგილობრივ) ენაზე. თარგმანი ამ ამოცანის განხორციელების ეფექტური საშუალებაა. ასეთ შემთხვევაში, ნათარგმნი ტექსტები სამიზნე პოლისისტიემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტად იქცევა და განმსაზღვრელ როლს ასრულებს ადგილობრივი ლიტერატურის განვითარებასა და სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში. ევენ-ზოჰარი ასევე აღნიშ-

4 პარალელი შეიძლება გავავლოთ ინტენსიურ მთარგმნელობით მოღვაწეობასთან შუა საუკუნეების საქართველოში, რომლის დამუშავება აღნიშნული პერსპექტივიდან ამჟამად ხორციელდება.

ნავს მოწინავე სალიტერატურო ენებიდან ნათარგმნი ტექსტების ღირებულებას სამიზნე მკითხველისთვის.⁵

მეორე შემთხვევა დამახასიათებელია მეტ-ნაკლებად განვითარებული პოლისისტემისთვის, რომელიც, შეზღუდული რესურსების გამო, გარკვეულწილად ჩამორჩება მისთვის „სამაგალითო“, წამყვანი პოლისისტემის მრავალფეროვნებას, დანაკლისს კი თარგმანი ავსებს. იმის მიხედვით, თუ რამდენად ძლიერია პოლისისტემა, წამყვანი ლიტერატურულ გამოცდილებაზე დამოკიდებულება შეიძლება აისახოს ან მხოლოდ მის პერიფერიაზე, ან ბირთვულ სისტემაზეც. მესამე შემთხვევა – ნათარგმნი ლიტერატურის დამკვიდრება სამიზნე პოლისისტემის ცენტრში ლიტერატურული პროცესის დინამიკის ფონზე – ახასიათებს როგორც ძლიერ, ისე „სუსტ“ პოლისისტემას.

თუ თარგმანი პერიფერიულ პოზიციას იკავებს პოლისისტემაში, ის ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას სამიზნე ლიტერატურაში მიმდინარე ევოლუციურ პროცესებზე და ახალ პოლისისტემაში უკვე დამკვიდრებულ, კონსერვატიულ ნორმებს დაექვემდებარება. ამდენად, ნათარგმნი ლიტერატურა კონსერვატიზმის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცევა. ევენ-ზოჰარის აზრით, ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა ერთგვარი პარადოქსი: თარგმანი, რომელიც, ჩვეულებრივ, ახალი იდეებისა თუ მახასიათებლების შემოტანის ეფექტური საშუალებაა, ტრადიციული „გემოვნების“ კონსერვირების ფუნქციას იძენს და განახლებად ორიგინალურ მწერლობას უპირისპირდება.

ედვინ გენცლერის აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ ლიტერატურული თარგმანის სოციოკულტურული კონტექსტი და ნათარგმნი ტექსტების ადგილისა და როლის სისტემური შესწავლით პირველად სწორედ ისრაელის, ბელგიისა და ნიდერლანდების სამცენიერო წრეები დაინტერესდნენ. ამგვარი თანხვედრა, სავარაუდოდ, განსაზღვრა მსგავსმა საზოგადოებრივ-ისტორიულმა გარემოებებმა – ადგილობრივი ენ(ებ)ის „მეორეხარისხოვნმა“ სტატუსმა და „ალმატებული“ უცხოენოვანი ლიტერატურის ზეგავლენამ (ნიდერლანდების შემთხვევაში – გერმანულის, ფრანგულისა და ანგლო-ამერიკულის, ისრაელის შემთხვევაში კი – გერმანულის, ანგლო-ამერიკულისა და რუსულის), რამაც განაპირობა მათი დამოკიდებულება ლიტერატურულ თარგმანზე. გენცლერი აღნიშნავს, რომ ისრაელისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო როგორც ლიტერატურული, ისე პოლიტიკურ-ეკონომიკური თარგმანი, რადგან, ბელგიისა და ნიდერლანდებისგან

5 სწორედ ამგვარი თეორიული ჩარჩოს მიხედვით შეიძლება სისტემურად აღიწეროს ძველი ქართული ათონური, ანტიოქიური და ელინოფილური მთარგმნელობითი სკოლები და მათ მიერ კონცეპტუალიზებული თარგმანის იმპლიციტური (მეტაფორული) კონცეფციები. ეს კვლევა ცალკე იქნება წარმოდგენილი.

განსხვავებით, მას უხდებოდა ორიენტირება არა მხოლოდ ევროპის მოწინავე ინტელექტუალურ პროცესებს შორის, არამედ, ერთი მხრივ, დასავლეთისა და საბჭოთა კავშირის, მეორე მხრივ კი, დასავლეთისა და „მესამე მსოფლიოს“ პოლიტიკურ გზაჯვარედინებზე.

ხსენებული სამეცნიერო სკოლების სიახლოვეს გენცლერი სოციოკულტურული ფაქტორების გარდა, ხსნის იმ ფაქტორებს, რომ პოლისტიმების თეორიამ გაიზიარა და განავრცო ამსტერდამსა და ლუვენში უკვე არსებული მთარგმნელობითი თეორიები (Gentzler 2001:106-108)

მთარგმნელობითი ნორმები

დესკრიფციულ პარადიგმას მიაკუთვნებენ ასევე მთარგმნელობითი ნორმების თეორიას (Toury 1995:53-69),⁶ რომელსაც გიდეონ ტურიმ ჩაუყარა საფუძველი. მის სახელს უკავშირდება მთარგმნელობითი ნორმების ცნების შემოტანა და ოპერაციონალიზაცია, თუმცა თარგმნის სტრატეგიებისა და ნორმების შესახებ რეფლექსიას ბევრად ადრე ვხვდებით ირჟი ლევის სტატიაში „თარგმანი, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესი“ (Translation as a Decision Process, 1967).⁷

ტური მთარგმნელობით ნორმებს კონკრეტულ სოციოლინგვისტურ გარემოში მთარგმნელობითი ქცევის კანონზომიერებად განიხილავს. მთარგმნელობითი ნორმის ცნების განსაზღვრა პოლისტიმების თეორიას უკავშირდება – კვლევის მიზანია არა კონკრეტული წყარო და სამიზნე ტექსტების შედარება, არამედ ნათარგმნი ტექსტების ერთობლიობის, როგორც სისტემის, მახასიათებლების შესწავლა. ტურის აზრით, დესკრიფციული მიდგომა გამორიცხავს სამეცნიერო დაკვირვებათა შემთხვევითობას; მთარგმნელობითი ნორმების კვლევის მიზანია კონკრეტული დაკვირვებების განზოგადება საკვლევი ფენომენის ერთ-ერთი კლასის ან ქვეკლასის დონეზე. ამდენად, კვლევის შედეგები დამაჯერებელია და, შეიძლება, ინტერსუბიექტურად შემოწმდეს (Toury 1995:3; Baker 1998:163).

ტური გამოყოფს მთარგმნელობითი ქცევის სამწვევრა მოდელს, რომელშიც ნორმებს შუალედური ადგილი უკავია ე.წ. „კომპეტენციასა“ (competence) და „შესრულებას“ (performance) შორის.⁸ მთარ-

6 მთარგმნელობითი ნორმების შესახებ ასევე იხ. Baker 2001; Munday 2008:111-122; Pym 2014:70-72, 75; Hermans 1996; Schäffner 1999; Schäffner 1998; Brownlie 1999.

7 თარგმანის ლინგვისტურ-პრაგმატიკული ნორმები ასევე შეიძლება დაუკავშიროთ 1960-70-იანი წლების ლინგვისტურ თეორიებს მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების შესახებ. დაწვრილებით იხ. Catford, J. C. 1965; Kade 1968; Popović 1970; Neubert 1985; Neubert and Shreve 1992).

8 ამ თვალსაზრისით, ტურის მოდელი ეხმიანება ნოამ ჩომსკის ლინგვისტური კომპეტენციისა და შესრულების თეორიას და ფერდინანდ დე სოსიურის ენისა და

გმენლობითი კომპეტენცია განიხილება, როგორც კონკრეტული სოციოკულტურული გარემოს გათვალისწინებით თეორიულად შესაძლებელი მთარგმნელობითი სტრატეგიების ერთობლიობა. ტურის აზრით, პოეტური ტექსტის თარგმნის შესაძლებლობები, რომლებსაც ჰოუმში გვთავაზობს, კომპეტენციის დონეს განეკუთვნება. „შესრულების“ დონე მთარგმნელობითი ქცევის პრაქტიკულ მხარეს – მთარგმნელის რეალურ არჩევანს – შეესაბამება, ნორმები კი კონკრეტულ სოციოკულტურულ გარემოში მთარგმნელთა რეგულარულ, განზოგადებად არჩევანს ასახავს.

ტური ასევე განასხვავებს თარგმნის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მოქმედ რამდენიმე ნორმას. ესენია:

ა) საწყისი ნორმები, რომლებიც თარგმანში წყარო ან სამიზნე ენისა და კულტურის ნორმების დაცვას განსაზღვრავს. წყარო ენისა და კულტურის ნორმებზე ორიენტირებული თარგმანი საწყისი ტექსტის ადეკვატურია, სამიზნე ნორმებზე ორიენტირებული კი სამიზნე კულტურისთვის არის მისაღები. შესაბამისად, საწყისი ნორმების საფუძველზე გამოიყოფა თარგმანის ორი კატეგორია: ადეკვატურობა, ანუ შესაბამისობა წყაროსთან და მისაღებობა (acceptability), ანუ შესაბამისობა სამიზნე კულტურასთან;

ბ) წინასწარი ნორმები, რომლებიც თარგმანის პოლიტიკას უკავშირდება. უფრო კონკრეტულად, ისინი სათარგმნი ტექსტების შერჩევის პრინციპზე მიუთითებს და თარგმანის „პირდაპირობას“ ასახავს⁹;

გ) საოპერაციო ნორმები, რომლებიც თარგმნის პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებებს ასახავს. ტური გამოყოფს ორი სახის საოპერაციო ნორმას, მატრიცულსა და ტექსტობრივ-ლინგვისტურს. პირველის მიხედვით განისაზღვრება სამიზნე ტექსტის სისრულე – გარკვეული მონაკვეთების გამოტოვების, გადაადგილების, ინფორმაციის დამატების და სქოლიოების დართვის საჭიროება. ტექსტობრივ-ლინგვისტური ნორმები სამიზნე ტექსტის ლინგვისტური მასალის, ფრაზებისა და სტილისტური მარკერების შერჩევის პრინციპებს მოიცავს.

ტურის აზრით, მთარგმნელობითი ნორმების განსაზღვრა მთარგმნელობითი „კანონების“ და შესაბამისად, „უნივერსალებების“ დადგენის საშუალებას იძლევა. იგი გამოყოფს ორ „კანონს“: მზარდი სტანდარტიზაციის და ინტერფერენციის ტენდენციებს. პირველი თარგმანში წყარო ტექსტის სტილური ვარიაციულობის, ზოგიერთი

მეტყველების დიქოტომიას.

9 იგულისხმება, ტექსტი ორიგინალის ენიდან ითარგმნება თუ „შუამავალი“ ენიდან და ასევე, რამდენად მისაღები ან მიუღებელია სამიზნე საზოგადოებისთვის არაპირდაპირი თარგმანი.

სპეციფიკური მახასიათებლის ერთგვარ შეზღუდვასა და სამიზნე კულტურის მოდელებზე მორგებას გულისხმობს, რაც უმეტესად ე.წ. „პერიფერიულ“ შედარებით ნაკლებმნიშვნელოვან თარგმანებს ახასიათებს. მეორე კანონი კი, პირიქით, სამიზნე ენაში წყარო ენის ლექსიკურ-სინტაქსური მოდელების კალკირებას უკავშირდება. ტურის აზრით, ინტერფერენციისადმი დამოკიდებულება სოციოკულტურული ფაქტორებითა და ამა თუ იმ ლიტერატურული სისტემის პრესტიჟულობით განისაზღვრება (Pym 2014:70-77).

ტურისგან განსხვავებით, ენდრიუ ჩესტერმანი ღიად საუბრობს ნორმების პრესკრიფციულ ხასიათზე და განასხვავებს:

i) მოლოდინის (ანუ პროდუქტის) ნორმებს, რომლებიც ასახავს სამიზნე კულტურაში დომინანტურ მთარგმნელობით ტრადიციას, კონვენციებსა და მოლოდინს;

ii) პროფესიულ ნორმებს, რომლებიც საკუთრივ თარგმნის პროცესს არეგულირებს და სამ ქვეტიპს აერთიანებს. ესენია: ა) ანგარიშგების ანუ ეთიკის, რომლებიც მთარგმნელის დამკვეთისა და მკითხველისადმი პასუხისმგებლობაზე მიუთითებს; ბ) კომუნიკაციური ანუ სოციალური, რომელიც მთარგმნელის, როგორც შუამავლის, როლს ასახავს და გ) „მიმართების“ ანუ ლინგვისტური, რომელიც წყარო და სამიზნე ტექსტებს შორის მიმართებებს გულისხმობს, თუმცა სცდება ეკვივალენტობის ვიწრო გაგებას და მოიცავს როგორც ავტორის, ისე დამკვეთისა და მკითხველის ინტერესებსა თუ საჭიროებებს (Chesterman 1997:64-70; იხ. ასევე Munday 2008:117-118; Baker 2001:164-165). ჩესტერმანის აზრით, ნორმების განმაპირობებელ და წარმმართველ ფაქტორს წარმოადგენს აქსიოლოგიური, ღირებულებითი კონცეპტები (Chesterman 1997:172).

მთარგმნელობითი ნორმებისა და კანონების/უნივერსალიების გამოყოფამ ბუნებრივად წარმოშვა თარგმანის სტატუსის განსაზღვრის საჭიროება. ტურის აზრით, თარგმანის სტატუსს ადგენს არა მკვლევარი, არამედ ის საზოგადოება (კულტურა), რომელშიც „თარგმანად აღიარებული“ ტექსტი შეიქმნა („ითარგმნა“) და ფუქნციონირებს; მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე აღიარებს ესა თუ ის საზოგადოება ტექსტს თარგმანად (1995a:142). ტურის ამგვარი განმარტება არაერთ კითხვას ბადებს: რამდენად ემთხვევა ერთმანეთს სხვადასხვა ენაში „თარგმანის“ აღმნიშვნელი ტერმინების შესაბამისი ცნებები? დომინირებს თუ არა თარგმანის თანამედროვე დასავლური კონცეფცია სხვა კულტურებში ტრადიციულად არსებულ კონცეფციებზე და რამდენად მიკერძოებულია თარგმანის თანამედროვე კვლევები დასავლური კონცეფციის მიმართ? (Pym 2010:73)

კრიტიკა მოჰყვა ტურის ნორმების თეორიის სხვა ასპექტებსაც. კატეგორია, რომელსაც ტური მისაღებობას (acceptability) უწოდებს და ადეკვატურობას უპირისპირებს, ბევრი სხვა მეცნიერის ნაშრომში სწორედ ადეკვატურობად განიხილება. ადეკვატურობას უკავშირებენ წყარო და სამიზნე ტექსტებს შორის არაენობრივად განპირობებულ თანხვედრას. ამდენად, ტურის მიერ შემოთავაზებულ ოპოზიციურ კატეგორიებს შორის სხვაობა ბუნდოვანია. ასევე არამყარია ტურის მოსაზრებები ნორმების ინტერსუბიექტური სანდოობის შესახებ. ეჭვს იწვევს მის მიერ ეკვივალენტობის ცნების დაკავშირება ნორმების ცნებასთან, რადგან პირველი ორიენტირებულია ტექსტებს შორის იგივეობის წარმორჩენაზე, მეორე კი ხაზს უსვამს სამიზნე სოციოკულტურული კონტექსტით განპირობებულ თავისებურებებსა და განსხვავებებს („მანიპულაციებს“) და მიზნად ისახავს მათ ახსნას (Munday 2008:115-117). შივონ ბრაუნლის აზრით, მთარგმნელობითი ქცევის რეგულარულობა არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ის ნორმად ჩამოყალიბდეს. ნორმა უპირველესად ემყარება „ალიარებას“ (approval) და თავად განაპირობებს ამა თუ იმ ქცევის რეგულარულ ხასიათს (1999).

ნორმების თეორიის ჩამოყალიბების საწყისი ეტაპისთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიური ხარვეზების მიუხედავად, ამ თეორიამ თარგმანის კვლევების დესკრიფციული პარადიგმის ძირითადი კონცეფცია განსაზღვრა. თუმცა მეცნიერები ალიარებენ, რომ შესაბამისი ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია კორპუსული ლინგვისტიკის მეთოდოლოგიური მიდგომებისა და ინსტრუმენტების გამოყენება, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისების გარეშე თარგმანის კვლევები ვერ ჩამოყალიბდება „სრულყოფილ“ სამეცნიერო დისციპლინად.¹⁰

„მანიპულაციის სკოლა“: თარგმნა, როგორც „გადაწერა“

თარგმანის კვლევების დესკრიფციული პარადიგმის ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელი როლი ითამაშა „მანიპულაციის სკოლის“ სახელით ცნობილმა მეცნიერთა ჯგუფმა.¹¹ მათი სტატიების კრებულს „ლი-

10 Translation studies has reached a stage in its development as a discipline when it is both ready for and needs the techniques and methodology of corpus linguistics in order to make a major leap from prescriptive to descriptive statements, from methodologising to proper theorising, and from individual and fragmented pieces of research to powerful generalisations (Baker 1993:248).

11 ალიარებულია, რომ სახელწოდების, საერთო საკვლევი პრობლემატიკისა და ურთიერთგადამკვეთი მოსაზრებების მიუხედავად, მკვლევართა ეს ჯგუფი სამეცნიერო სკოლად არ ჩამოყალიბებულა (იხ. მაგ. Snell-Hornby, Althoff and Leal 2011).

ტერატურის მანიპულაცია“ (The Manipulation of Literature), რომელიც 1985 წელს გამოიცა და დესკრიფციული კვლევების ერთგვარ სახე-სიმბოლოდ იქცა, წინ უძღოდა შედარებითი ლიტერატურისმცოდნეობისა და თარგმანის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციები ლუვენ-ში (1976), თელ-ავივსა (1978) და ანტვერპენში (1980). ამ მეცნიერთა ნაშრომები, ძირითადად, ლიტერატურულ თარგმანს ეთმობა, თუმცა მთარგმნელობითი „მანიპულაციის“ კვლევა არამხატვრულ ზეპირ დისკურსსაც მოიცავს (მაგ., Hermans 2014).

„მანიპულაციის სკოლის“ წარმომადგენლების კვლევები ეყრდნობა პოლისისტემების თეორიას, თუმცა სცდება მის ფორმალისტურ ჩარჩოს და მეტად უახლოვდება კულტურის კვლევებს. მათ შორის არის ანდრე ლეფვერის თარგმანის, როგორც „გადაწერის“ (rewriting) კონცეფცია, რომელიც მან საკუთარი რეფრაქციის თეორიის საფუძველზე შეიმუშავა და განმარტა, როგორც „ხელახალი ტექსტობრივი პროექტირება“ (“a process of textual re-envisioning”) (Bassnett 2014:35). ლიტერატურული ტექსტის რეცეფცია გულისხმობს მის გარკვეულ სპექტრში გარდატეხას, რაც განპირობებულია ფართო კონტექსტით. უფრო კომპლექსურ რეფრაქციას განიცდის ტექსტი თარგმნისას. რეფრაქციების სიმრავლე უკავშირდება ტექსტის სხვადასხვა ინტერპრეტაციას, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს საწყისი მოცემულობისგან.

ლეფვერის აზრით, ლიტერატურული ტექსტის აღქმას, მის მიღებასა თუ მიუღებლობას განსაზღვრავს ისეთი კონტექსტუალური ფაქტორები („შეზღუდვები“/constraints), როგორებიცაა ძალაუფლება, იდეოლოგია, ინსტიტუცია და მანიპულაცია (Lefevere 1992:13). სწორედ ამ „ბერკეტების“ მქონე პირები „გადაწერენ“ ლიტერატურას და „წარმართავენ“ მის რეცეფციას საზოგადოებაში. ლიტერატურის „გადაწერას“, ძირითადად, იდეოლოგიური ან პოეტოლოგიური მოტივი განაპირობებს. თარგმანის გარდა, „გადაწერა“ მოიცავს ისტორიოგრაფიას, ანთოლოგიზაციას, კრიტიკასა და რედაქტირებას.

„გადაწერის“ თეორიის მიხედვით, თარგმანის ფუნქციონირებას განსაზღვრავს:

ა) ლიტერატურული წრეები (რეცენზენტები, კრიტიკოსები, მასწავლებლები და თავად მთარგმნელები);

ბ) „გარეშე“ პატრონაჟი: ხელისუფლება ან მისი წარმომადგენლები, პოლიტიკური ძალები, მასმედია, გამომცემლობები, ასევე საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუციები. მათი მიმართება თარგმანთან განისაზღვრება იდეოლოგიური, ეკონომიკური (იგულისხმება

მწერალთა და „გადამწერთათვის“ განსაზღვრული მატერიალური სარგებელი) და სტატუსთან დაკავშირებული კომპონენტებით;

გ) კონკრეტულ საზოგადოებაში აღიარებული პოეტიკა.

ლევფევერის რეფრაქციისა და გადაწერის კონცეფციებზე მსჯელობისას სუზან ბასნეტი აღნიშნავს, რომ თარგმანის კვლევა უნდა მოიცავდეს ნათარგმნი ტექსტების „ტრანექტორიის“ შესწავლას, რადგან თარგმანი არა მხოლოდ ამოსავალ კულტურას ასახავს, არამედ მიმღებ კულტურასაც.

ფუნქციური თეორიები

1970-80-იან წლებში ფუნქციური თეორიების სახელით ცნობილ გერმანულენოვან კვლევებში საწყისი და სამიზნე ტექსტების ინვარიანტის დადგენის ნაცვლად წამყვან თემად თარგმანის კომუნიკაციური ინტენციისა და სამიზნე სიტუაციისადმი შესაბამისობა იქცა. ამგვარი სოციოკულტურული ორიენტაცია მათ პოლისისტემებისა და ნორმების განხილულ თეორიებთან აახლოებს. გერმანულენოვან სივრცეში კვლევებს წინ უძღოდა ლაიფციგის (ალბრეხტ ნოიბერტი, ოტო კადე), ზაარბრიუკენისა (ვოლფრამ ვილსი) და ჰაიდელბერგის (ვერნერ კოლერი) სკოლების ტრადიცია.¹²

ტექსტის ტიპები და სკოპოსის თეორია

მართალია, 1980-იანი წლების დასაწყისისთვის ეკვივალენტობა აღარ განიხილებოდა აბსოლუტურ ცნებად და მას ფუნქციურ, ფარდობით კონცეპტად უფრო მოიაზრებდნენ (მაგ., ნაიდას, კადეს, კოლერის და სხვათა მოდელები), ტექსტების თუნდაც ცალკეულ დონე(ებ)-ზე ეკვივალენტობა, ან მხოლოდ პრაგმატიკული და ფუნქციური ეკვივალენტობა დედანთან სწორებასა და მისი ფუნქციის სამიზნე კონტექსტში რეპროდუცირებას გულისხმობდა. მიკროსტრუქტურულ დონეზე ეკვივალენტობის აუცილებლობაზე უარის თქმისა და ფუნქციური ასპექტის თარგმანის თეორიაში აქტიური ინტეგრირების მიუხედავად, ეკვივალენტობის პარადიგმის ფარგლებში უნდა განვიხილოთ გერმანული თარგმანის კვლევების დუაენად აღიარებული

12 ფუნქციური თეორიების წინამორბედად ზოგიერთი მკვლევარი (Prunč 2001:219) 1960-იან წლებში ჩეხოსლოვაკიაში მოღვაწე ირჟი ლევის ასახელებს, რომელიც თარგმანს ტელელოგიური თვალსაზრისით კომუნიკაციის პროცესად განიხილავს, მთარგმნელის პერსპექტივიდან კი – გადაწყვეტილების მიღების პროცესად. ტერმინის „ტელელოგიური“ გამოყენებით მან სკოპოსის თეორეტიზება იწინასწარმეტყველა.

(Snell-Hornby 2006:31) და შემდგომში ერთ-ერთი ცენტრალური ფუნქციური თეორიის¹³ თანაავტორის, კატარინა რაისის საწყისი ნაშრომები (მაგ., *Möglichkeiten unter Grenzen der Übersetzungskritik*, 1971). რაისი კარლ ბიულერის (*Sprachtheorie*, 1965) ენის ორგანულ მოდელზე (*Organon-Modell*) დაყრდნობით და ენის რეფერენციული, ექსპრესიული და აპელაციური ფუნქციების გათვალისწინებით, სამი განსხვავებული ფუნქციისა და რიტორიკული ფოკუსის ტექსტებს გამოყოფს. იგი თითოეულ მათგანს შესაბამის მთარგმნელობით მიდგომას უსადაგებს. უფრო კონკრეტულად, რაისი იმ რეფერენციული ტექსტების სათარგმნად, რომლებიც რეალური სამყაროს ფაქტებსა და მოვლენებს გადმოგვცემს, „შინაარსზეა ფოკუსირებული“ და მესამე პირისადრია მიმართული, ყველაზე მართებულ მიდგომად შინაარსის სისწორის დაცვას, „პროზაულ თარგმნას“ ასახელებს; ექსპრესიული ტექსტების შემთხვევაში, რომლებშიც შემოქმედებითი და ესთეტიკური კომპონენტი ჭარბობს, მთავარი ფუნქცია ესთეტიკურ ფორმას ეკისრება და პირველ პირზეა ორიენტირებული, ფორმისა და ესთეტიკური მახასიათებლების შენარჩუნებას ითვალისწინებს; აპელაციური ანუ ოპერატიული (*operative*) და, შესაბამისად, დარწმუნების ფუნქციის მქონე ტექსტები, რომლებიც მეორე პირს მიემართება, ფორმასა და შინაარსზე მეტად ეკვივალენტური ეფექტის შენარჩუნებას ითხოვს (Nord 1997:40-45; Pym 2014:46-47; Munday 2008:72-74).¹⁴ თითოეული ტიპის ფარგლებში გამოიყოფა უანრები, რომლებიც, თავის მხრივ, კონკრეტულ კონვენციებს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ თავადაც აღიარებდა ტექსტების ჰიბრიდულ ხასიათს, რაისი ფიქრობდა, რომ შესაძლებელია დომინანტური ფუნქციის გამოყოფა და მის საფუძველზე მთარგმნელობითი მიდგომის განსაზღვრა.¹⁵ ეს ხედვა მეტწილად ეკვივალენტობაზე დაფუძნებულ თეორიას (Nord 1997:9) ეყრდნობა, რადგან მიუხედავად ფუნქციური ასპექტის ხაზგასმისა, იგი სამიზნე

13 1982 წელს ჰანს ფერმიერის ლექციების საფუძველზე გამოცემულ სახელმძღვანელოში ჰანს ჰონიგი და პაულ კუსმაული ტერმინის „skopos“ ნაცვლად სიმარტივისთვის იყენებენ უფრო ნაცნობ ტერმინს „ფუნქცია“, რის გამოც, მათ და ამ სკოლის სხვა წარმომადგენლებს ფუნქციონალისტებად მოიხსენიებინ (Snell-Hornby 2006:52). ფუნქციურ სკოლას ზოგჯერ ტელეოლოგიურ სკოლასაც უწოდებენ.

14 ტექსტთა ტიპების ამ ჩამონათვალს მოგვიანებით აუდიომედიალური ტექსტების ტიპიც დაემატა.

15 ამ კონტექსტში ალსანიშნავია მერი სნელ-ჰორნბის „ინტეგრირებული მიდგომა“ და მის მიერ წარმოდგენილი „პროტოტიპოლოგია“, რომელიც ტექსტების კლასიფიკაციის უფრო დინამიკურ მოდელს წარმოადგენს. მასში გათვალისწინებულია სხვადასხვა კულტუროლოგიური კვლევის მონაცემები და განსხვავებული დარგობრივი ტექსტების თარგმნის სპეციფიკა (დაწვრილებით იხ. Snell-Hornby 1988:31ff; Munday 2008:75-77).

კონტექსტში დედნის ფუნქციის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული და შესაბამისად, ტექსტებს შორის ფუნქციურ მიმართებებს ითვალისწინებს. რაისი საწყისი და სამიზნე ტექსტების ფუნქციებს შორის განსხვავებას გამონაკლისად განიხილავს, მას საკუთრივ თარგმანის სტატუსს არ ანიჭებს და „გადატანასთან“ (Übertragungen) აიგივებს (მაგ., „გულივერის მოგზაურობა“, რომლის საწყისი სატირული და, შესაბამისად, აპელაციური ფუნქცია თანამედროვე მკითხველისთვის გასართობ, საბავშვო ტექსტად იქცა და ეგზოტიკური შეფერილობა შეიძინა) (Nord 1997:9, 51).

ახალი ხედვის საფუძველზე რაისმა თარგმანის ადეკვატურობის შეფასების ინტრალინგვისტური და ექსტრალინგვისტური კრიტერიუმები შეიმუშავა. პირველი სემანტიკურ, ლექსიკურ, გრამატიკულ და სტილისტურ თავისებურებებს აერთიანებს, მეორე კი სიტუაციის, ადგილის, დროის, ადრესატის, ადრესანტის მახასიათებლებსა და სხვადასხვა სახის იმპლიკაციას ითვალისწინებს (Reiss 1971:54-88).

ამ თეორიისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულის მიუხედავად, თარგმნისას ტექსტის ტიპების გათვალისწინება კვლავ აქტუალურია (Hatim 2013:86; Snell-Hornby 2006:30). ჯულიან ჰაუსი ხაზგასმით აღნიშნავს ამ მიდგომის მნიშვნელობას თარგმანის ხარისხის შეფასების ক্ষრილში, თუმცა იქვე მიუთითებს ტექსტის ტიპის დადგენის კრიტერიუმების ნაკლებობაზე (House 2001:198). ქრისტიან ნორდის აზრით (1997:38), ფუნქციისა და ტიპის გათვალისწინება მთარგმნელს კომუნიკაციური ფუნქციის ლინგვისტური მარკერების უკეთ გააზრებაში ეხმარება და მნიშვნელოვანია თარგმანის შეფასებისას.

მოგვიანებით, კატარინა რაისმა ჰანს ფერმიერთან ერთად¹⁶ გამოსცა „სკოპოსის მანიფესტად“ წოდებული (Snell-Hornby 2006:30) ნაშრომი (Grundlegung einer allgemeinen Translationstheorie, 1984),¹⁷ რომელშიც საწყისი თეორია ტექსტის ტიპების შესახებ ფერმიერის სკოპოსის თეორიასთან კავშირში ახლებურ კონტექსტში წარმოჩნდა. თუმცა, სკოპოსის თეორიის წინასწარი მოსაზრებები ფერმიერმა გაცილებით ადრე, 1978 წელს ჩამოაყალიბა (Ein Rahmen für eine allgemeine Translationstheorie/A Framework for a General Theory of Translation).

16 ორივე მეცნიერი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის სკოლას წარმოადგენს.

17 ნაშრომი ინგლისურ ენაზე (Towards a General Theory of Translation. Skopos Theory Explained) 2013 წელს ქრისტიან ნორდის თარგმანითა და წინასიტყვაობით გამოიცა. გამოცემამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გერმანული თეორიის ინგლისურენოვან სამეცნიერო წრეებში ინტეგრირებაში და როგორც ნორდი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, მეორეულ წყაროებში მოცემული სუბიექტური ინტერპრეტაციებით და გერმანული აკადემიური სტილის სპეციფიკით განპირობებული გაუგებრობების დაძლევაში.

როგორც აღვნიშნეთ, რაისის თავდაპირველი თეორია საწყისი ტექსტის დომინანტური ფუნქციის გამეორებას გულისხმობდა თარგმანში და, ამგვარად, ინარჩუნებდა დედანთან მიმართების მნიშვნელობას, სკოპოსის თეორია კი, ჰანს ჰონეიგისა და პაულ კუსმაულის აზრით, პარადიგმის რადიკალურ ცვლილებას მოასწავებდა (Snell-Hornby 2006:30-31). ენტონი პიმი სკოპოსის თეორიას „არსებულ ფუნქციონალიზმის რადიკალიზებას“ და ეკვივალენტობის ახალი პარადიგმით ჩანაცვლებას უკავშირებს (Pym 2014:43,49). ამ თეორიის თანახმად, საწყისი ტექსტის ფუნქცია უმეტესად არ ემთხვევა ფუნქციას, რომელსაც სამიზნე ტექსტი განსხვავებულ სოციოკულტურულ გარემოში ასრულებს. ამგვარად, რაისის ადრინდელ, დამოუკიდებელ ნაშრომებში გამონაკლისად განხილული ნულოვანი ფუნქციური თანხვედრის შემთხვევა სკოპოსის კონტექსტში კვალიფიცირებულია, როგორც ტიპური მოვლენა, ხოლო ფუნქციური შესაბამისობა, რომელიც რაისის თეორიის საფუძველია, მასში „სპეციფიკურ“ შემთხვევად განიხილება. ტექსტის ტიპსა და თარგმანის სტრატეგიას შორის კორელაცია ერთობლივი ნაშრომის ფარგლებში მხოლოდ „ფუნქციური ინვარიანტულობის“ შემთხვევაში მოქმედებს, მაგ., სპეციფიკური ტიპის ტექსტებში, როგორიცაა ამინდის პროგნოზი (Reiss and Vermeer 2013/2014).

ფერმიერი და რაისი მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ნაშრომის ორი ნაწილი, რომელთაგან პირველი ფერმიერს ეკუთვნის, მეორე კი – რაისს, არ არის ურთიერთგამომრიცხავი და ისინი ზოგადი თეორიის ჩარჩოში უნდა განვიხილოთ (2013:ix). ნორდის თანახმად, ამ კონტექსტში რაისის „ფუნქციური კატეგორიის“ სტატუსი იცვლება და ტექსტთა არსებული კლასიფიკაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ინარჩუნებს რელევანტობას, როდესაც სამიზნე ტექსტის ფუნქცია საწყისი ტექსტის ეკვივალენტობის შენარჩუნებას გულისხმობს. ასეთ შემთხვევებს თავად ავტორები „კომუნიკაციურ“ და „იმიტაციურ“ თარგმანს უწოდებენ (Nord 2012:10).

სამიზნე კონტექსტზე ორიენტაცია ლინგვისტიკის საზღვრებიდან გასვლას¹⁸ და სხვა დარგების, მათ შორის სოციოლოგიის, მარკეტინგის, კომუნიკაციის ეთიკისა და კულტურის კვლევების, მონაცემების გათვალისწინებას მოითხოვდა. შეიძლება ითქვას, რომ სხვა თეორიებთან ერთად ამგვარმა ხედვამ (სამიზნე პლანის ფუნქციონალიზმის რა-

18 ფერმიერი თარგმანის კვლევისას ლინგვისტური თეორიიდან გასვლის აუცილებლობაზე წერდა უფრო ადრეც, 1976 წელს და, ასევე 1978 წელს გამოცემულ ნაშრომში Ein Rahmen für eine allgemeine Translationstheorie, Lebende Sprachen 23 (1):99-102 (Nord 1997:10).

დიკალურმა ვერსიებმა) ერთგვარად გაამართლა ახალი დარგის ჩამოყალიბება და მისი ინტერდისციპლინარიზაცია (Pym 2014:49).

სკოპოსის თეორიის თანახმად, როგორც მისი სახელწოდებიდანაც (skopos – ბერძნ. „მიზანი“) ჩანს, თარგმნა ორიენტირებულია მიზანზე. საწყის და სამიზნე ტექსტებს შორის ფუნქციური ასიმეტრია საწყისი ტექსტის სტატუსის ჩამოქვეითებასა (“dethroning”) და სამიზნე კულტურისა და კონტექსტის უპირატესობის აღიარებას განაპირობებს. ამგვარად, ფერმიერის თეორია სცდება ეკვივალენტობის ფარგლებს, თუმცა სრულად არ გამორიცხავს მას და სკოპოსს უქვემდებარებს. თეორიის ფარგლებში, თარგმანის სკოპოსს სამიზნე კულტურა განსაზღვრავს და იგი დამკვეთის მიერ მთარგმნელისთვის მიწოდებულ ინსტრუქციებშია დაკონკრეტებული. შესაბამისად, თარგმნა კულტურასთან ორგანულ კავშირში განიხილება. კულტურა კი ამ შემთხვევაში ფართო ცნებაა და „ნორმების, კონვენციებისა და მოსაზრებების ერთობლიობას“ წარმოადგენს, „რომლებიც საზოგადოების ქცევას და ამ ქცევის ყველა შედეგს განსაზღვრავს“ (Vermeer 1998a:9). თარგმნის პროცესის რადიკალური კონცეპტუალური გადააზრება, რომელიც ტექსტისა და ენის კომპონენტებს კულტურასთან მიმართებაში ფარდობით ცნებებად აქცევს და თარგმნას ქმედების ერთ-ერთ ქვეკატეგორიად განიხილავს, გამორიცხავს მის ტრანსკოდირებასთან ან ლინგვისტურ ტრანსპოზიციასთან სრულად გაიგივებას. შესაბამისად, იაკობსონისეულ ტერმინს „ენათშორისი თარგმანი“ სკოპოსის ზოგად თეორიაში ხშირად ტერმინი „კულტურათშორისი კომუნიკაცია“ ანაცვლებს (Reiss and Vermeer 2013/2014:22).

ფერმიერი, ისევე როგორც იუსტა ჰოლც-მენტერი, თარგმნას აღიქვამს, როგორც ქმედებას და საკუთარ თეორიას სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ დისკურსებში გავრცელებულ ქმედების ზოგად თეორიაზე აფუძნებს. უფრო კონკრეტულად, ფერმიერისთვის თარგმნა ქცევის ერთ-ერთ ფორმაა, რომელიც ქმედებად რომ გარდაიქმნას, სუბიექტს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი ქმედების მიზეზ(ებ)ი. ქმედების ჭეშმარიტი მიზეზების ფორმულირება კი ყოველთვის შესაძლებელია მიზნების სახით. აღსანიშნავია, რომ ფერმიერი იმოწმებს ქმედების განსაზღვრას, რომელიც ციციერონის ნაშრომში De inventione (2.5.18) გვხვდება და რომლის თანახმად, არსებობს შემთხვევები, როდესაც გარკვეულ დათმობაზე წასვლა უკეთესი შედეგის მისაღებად არის საჭირო (Vermeer 2004:229). ქმედების თეორია სოციოლოგიისა და ფილოსოფიის პარალელურად სხვა თანამედროვე ჰუმანიტარულ დარგებშიც განვითარდა.

ფერმიერი საკუთარ თეორიას მოიაზრებს ზოგად თეორიად, რომელიც კონკრეტულ ენობრივ და კულტურულ მოცემულობას არ უკავშირდება და რომლის ფარგლებში შესაძლებელი უნდა იყოს შესაბამის პრობლემასა თუ სფეროსთან დაკავშირებული „კოჰერენტული ქვე-თეორიების“ (Reiss and Vermeer 2013/2014:vii) გაერთიანება.¹⁹ თუმცა, ეს თეორია „გარკვეული ასპექტების ახლებური პრიზმით ჩვენებას“ ემსახურება და ვერ იქნება ყოვლისმომცველი (Reiss and Vermeer 2013/2014:1). ერთიანი პლატფორმის საყრდენად ფერმიერი კულტურის კვლევებსა და ლინგვისტიკას, მათ შორის ტექსტის ლინგვისტიკასა და ჰერმენევტიკას ასახელებს. უფრო კონკრეტულად, ტრანსლატოლოგიას გამოყენებითი ლინგვისტიკის/პრამაღმალინგვისტიკის ფარგლებს მიაკუთვნებს, რომელიც, თავის მხრივ, კულტურის კვლევების ერთ-ერთ მიმართულებად განიხილება (Reiss and Vermeer 2013/2014:1).

ტექსტის შექმნასა და თარგმნას ფერმიერი ერთნაირად განიხილავს ქმედებად, რომელსაც, ყველა სხვა სახის ქმედების მსგავსად, აქვს მიზანი. იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც თარგმანზე ახდენს გავლენას, ფერმიერი გამოყოფს კულტურულ ფონს, კონკრეტულ სამოქმედო გარემოს, კომუნიკანტების ფსიქოსოციალურ მახასიათებლებს და მათ შორის მიმართებას, რომლებიც შეუძლებელია ერთნაირი იყოს ორი განსხვავებული კონტექსტისთვის. რადგან მთარგმნელობითი ქმედება არსებული ტექსტის განსხვავებული კულტურული კონტექსტისთვის შექმნას გულისხმობს, მთარგმნელობითი ქმედების თეორიის შემუშავებისთვის ამოსავლად იგი ტექსტის თეორიას ასახელებს. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, ტექსტის შექმნას ისეთივე მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, როგორც მთარგმნელის და შემდეგ სამიზნე მკითხველის მიერ მის რეცეფციას. ტექსტის პროდუცირებასა და რეცეფციას თანაბრად განაპირობებს სოციალური და ინდივიდუალური ფაქტორები, რის გამოც მთარგმნელობითი ქმედების თეორია ასევე უნდა დაეფუძნოს ლიტერატურისმცოდნეობის ფარგლებში შემუშავებულ რეცეფციის თეორიებს (Reiss and Vermeer 2013/2014).

თეორია ტერმინოლოგიური სიახლითაც გამოირჩევა, რაც, შეიძლება ითქვას, დამახასიათებელია ფუნქციური თეორიებისთვის (მდრ. ჰოლც-მენტერის ტერმინთა სისტემას Nord 1997:12-13; Snell-Hornby 2006:56-60). რაისი და ფერმიერი ნეოლოგიზმების სიმრავლეს ახალი პარადიგმით გამოწვეულ ცვლილებებს უკავშირებენ (Reiss and Vermeer 2013/2014:4). თუმცა, ნორდის აზრით, ტერმინების წარმოების

19 აღსანიშნავია, რომ ფერმიერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი თეორია ერთნაირად ეხება როგორც წერით, ისე ზეპირ თარგმანს.

ეს ტენდენცია მხოლოდ გერმანული ტრადიციით ვერ აიხსნება და ამის მიზეზი შეიძლება იყოს ფერმიერისა და ჰოლც-მენტერის, როგორც პრაქტიკოსი მთარგმნელებისა და ლექტორების სურვილი, წინა პლანზე წამოსწიონ თარგმანის პრაქტიკული განზომილება და სწავლების კომპონენტი (1997:115). ფერმიერის თეორიაში სკოპოსის პარალელურად გვხვდება ტერმინები „საბოლოო მიზანი“ (Ziel), „მიზანი/დანიშნულება“ (Zweck)²⁰, „ფუნქცია“ (Funktion) და „ინტენცია“ (Intention ან Absicht), რომლებიც ზოგ შემთხვევაში სინონიმურად გამოიყენება, ზოგჯერ კი მცირე განსხვავებებით (Nord 1997:28). შედარებით გვიანდელ ნაშრომში (1996:7-8) ფერმიერი ტერმინ „ინტენციას“ დამკვეთს უკავშირებს, „სკოპოსს“ – თარგმნის მიზანს, ხოლო „ფუნქციას“ – ტექსტისთვის რეციპიენტის მიერ მინიჭებულ ფუნქციას. ამასთან, არ არის დაკონკრეტებული, რა შემთხვევაში განსხვავდება ინტენცია და სკოპოსი; ასევე პრობლემურია ტერმინი „ფუნქცია“ რეციპიენტების მხრიდან არაერთგვაროვანი, სუბიექტური აღქმის გათვალისწინებით (Chesterman 2010). „მონოტონურობის თავიდან აცილების მიზნით“ პარალელურად გამოიყენება, ერთი მხრივ, ტექსტის პროდუცენტი, ადრესანტი, ავტორი, მოსაუბრე, მწერალი და მეორე მხრივ, რეციპიენტი, მსმენელი და მკითხველი (Reiss and Vermeer 2013/2014:4). სკოპოსით განპირობებული თარგმნის შედეგად მიღებული ტექსტი, როგორც სამიზნე ტექსტის სპეციფიკური ტიპი, მითითებულია ტერმინით „ტრანსლატუმი“ (Translatum). ფერმიერი იყენებს ტერმინს „ადეკვატურობა“ (Adäquatheit), რომელიც თარგმანის უფრო ადრეულ თეორიებშიც (მათ შორის, ტურისთან) გვხვდება, თუმცა სკოპოსის თეორიაში იგი აღნიშნავს არა წყარო და სამიზნე ტექსტებს შორის რეტროსპექტულ კავშირს, არამედ თარგმანს, საწყის ტექსტსა და სკოპოსს შორის პროსპექტულ მიმართებას. ამგვარ ტერმინოლოგიურ სიახლეს არაერთი კრიტიკოსის უარყოფითი გამომხაურება მოჰყვა. ჩესტერმანი მიუთითებს ახლადშექმნილი ტერმინებით გამოწვეულ ბუნდოვანებაზე. თუმცა იგი ასევე წერს სხვადასხვა ტერმინის (მაგ., მწერალი, დამკვეთი, გამომცემელი, მიმღები, ადრესატი) გამოყენების შედეგად თარგმანის კვლევებში სოციოლოგიური მიდგომის აქტიურად ინტეგრირების დადებით მხარეზეც (დაწვრილებით იხ. Chesterman 2010).

სკოპოსის თეორიას ფერმიერი აყალიბებს რამდენიმე წესის სახით, რომლებიც, ჩესტერმანის აზრით, მას გამორჩეულად დედუქციურ, სინთეტურ თეორიად წარმოადგენს (2010). ქვემოთ მოკლედ

20 ინგლისურ თარგმანში ნორდი ტერმინის “Ziel” ეკვივალენტად იყენებს სიტყვას “aim”, ხოლო “Zweck”-ის პარალელურად – ტერმინს “purpose”.

მიმოვიხილავთ აღნიშნულ აქსიომებს (Reiss and Vermeer 2013/2014:107; Chesterman 2010):

- (1) ტრანსლატუმს (ანუ თარგმანს) განაპირობებს სკოპოსი: თარგმანი ყოველთვის რაიმე მიზნით სრულდება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ცხადად ჩამოყალიბებული არ არის. საწყისი და სამიზნე ტექსტების სკოპოსები, გამონაკლისის გარდა, ერთმანეთისგან განსხვავდება.
- (2) ტრანსლატუმი არის სამიზნე კულტურისთვის სამიზნე ენაზე მიწოდებული ინფორმაცია საწყისი კულტურისთვის ამოსავალ ენაზე შეთავაზებული ინფორმაციის შესახებ:²¹ იგი მხოლოდ ერთი ვარიანტია ინფორმაციის მიწოდების მრავალ შესაძლო ვარიანტს შორის. როგორც ყოველი ქმედების შედეგს, თარგმანსაც ახასიათებს უკუკავშირი. ქმედება წარმატებულია იმ შემთხვევაში, თუკი იგი არ იწვევს „პროტესტს“ სამიზნე მკითხველის მხრიდან. ამისთვის კი აუცილებელია რამდენიმე პირობის დაკმაყოფილება, რომლებიც საბოლოო ჯამში მთარგმნელის ბიკულტურულობას გულისხმობს (დაწვრილებით იხ. Reiss and Vermeer 2013/2014:94-98; Snell-Hornby 2006:51-56).
- (3) ტრანსლატუმი არარევერსიულია: საწყისი ტექსტი პოტენციურად ბევრნაირად შეიძლება ითარგმნოს, უკუთარგმანი კი არ ემთხვევა საწყის ტექსტს.
- (4) ტრანსლატუმი უნდა იყოს შინაგანად კოჰერენტული (შიდატექსტობრივი კოჰერენტულობა): სამიზნე ტექსტი უნდა ხასიათდებოდეს შინაგანი მთლიანობით, უნდა იყოს „საკმარისად“ კოჰერენტული სამიზნე სიტუაციისადმი და გასაგები რეციპიენტისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტრანსლატუმს „ტექსტის“ კვალიფიკაცია ვერ მიენიჭება და იგი ცალკეული ნიშნების თანმიმდევრობად უფრო განიხილება; რეციპიენტები, ჩვეულებრივ, სამიზნე ტექსტს საწყის ტექსტს არ ადარებენ. ტრანსლატუმს ისინი დამოუკიდებლად აღიქვამენ (დაწვრილებით იხ. Reiss and Vermeer 2013/2014:103).
- (5) ტრანსლატუმი უნდა იყოს კოჰერენტული²² საწყისი ტექსტისადმი: კოჰერენტულობის ეს მეორე ტიპი მიუთითებს სამიზნე

21 A *translatum* is an offer of information in a target culture and language about an offer of information in a source culture and language (Reiss and Vermeer: 107).

22 ჩესტერმანის აზრით, მიზანშეწონილი არ უნდა იყოს ტერმინის „კოჰერენტულობა“ გამოყენება ერთდროულად შიდატექსტობრივ და ტექსტთაშორის მიმართებებთან კავშირში, როდესაც ამ უკანასკნელის პარალელურად გამოიყენება ტერმინი „ეკვივალენტობა“ (Chesterman 2010).

ტექსტის საწყის ტექსტთან შესაბამისობაზე, რომელიც თარგმანის შესახებ რეფლექსიებსა და თეორიებში აქტუალურ „ერთგულების“ (fidelity), „ობიექტური სისწორის“ და ეკვივალენტობის ცნებებს უკავშირდება. თუმცა, როგორც შემდეგი (6) წესიდან ირკვევა, ინტერტექსტუალური კოჰერენტულობა მეორადია შიდატექსტობრივ კოჰერენტულობასთან მიმართებაში. ამგვარად, სკოპოსის თეორიის ფარგლებში სამიზნე პლანის აქცენტირების პარალელურად საზგასმულია, რომ პარადიგმული ცვლილება სრულად არ გამორიცხავს ეკვივალენტობას, არამედ მოიცავს მას, როგორც შესაბამისი სკოპოსის მქონე ერთ შესაძლო გამოვლინებას. სწორედ ამ კონტექსტში თავსდება რაისის ტექსტის ტიპების თეორია (Reiss and Vermeer 2013/2014:102).

- (6) ეს წესები ურთიერთდამოკიდებულია და იერარქიის პრინციპს ეფუძნება.

მოგვიანებით, ფერმიერი სკოპოსის მნიშვნელობასთან ერთად საგანგებოდ გამოყოფს (Vermeer 1996:12) რამდენიმე თეზას, რომლებშიც მეტი ყურადღება ქმედების თეორიაზე მახვილდება. მთარგმნელი სხვადასხვა შესაძლებლობას შორის იმ ქმედებას შეარჩევს, თუნდაც გაუცნობიერებლად, რომლისთვისაც მას ყველაზე საფუძვლიანი მიზეზი აქვს არსებული პირობების გათვალისწინებით. ამგვარად მთარგმნელი ყველაზე ოპტიმალური გზით ცდილობს დასახული მიზნის მიღწევას (შდრ. ჰონიგისა და კუსმაულის მინიმალურად აუცილებელი სიზუსტის თეორია (Principle of necessary precision), რომლის თანახმად, სამიზნე ტექსტში დეტალიზაციის/ინფორმაციის ხარისხი დამოკიდებულია ფუნქციაზე).²³

ამგვარად, სამიზნე კონტექსტში ტექსტის მიზანი შეიძლება იყოს როგორც საწყის, ისე სამიზნე ტექსტსა და კულტურაზე ორიენტირება. თეორია აპრიორი არ გულისხმობს მთარგმნელის მიერ სამიზნე კულტურისა და ენის მახასიათებლებზე ტექსტის მორგებას და არ კარნახობს მას, რომელი სტრატეგია გამოიყენოს. კომუნიკაციური მიზანი და ფუნქცია გაცილებით უფრო მაღალი იერარქიის ცნებებია, ვიდრე, მაგალითად, „გაშინაურება“ და „სტანდარტიზაცია“. ამ მიდგომის სიახლედ შეიძლება განვიხილოთ „ის, რაც მასში არ არის“ (Pym 2014:45). სკოპოსის თეორიის შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებას“ (Nord 1997:29).

თარგმანისადმი ამგვარი დამოკიდებულება მთარგმნელის როლსაც ზრდის, მას უბრალო „გამტარიდან“ (Hatim 2013:82) არსებითი გა-

23 იხ. Pym 2014:51f.

დაწყვეტილების მიმღებად წარმოადგენს და სამიზნე ტექსტის ავტორის სტატუსს ანიჭებს. ეს ცვლილება თარგმნის საზღვრებსაც ახალ ქრილში წარმოაჩენს – საგულისხმოა, რომ ფერმიერი ერთ განვრცობილ კონცეპტად განიხილავს თარგმნას, მეტყველებასა და წერას (Gentzler 2001:71).²⁴ ამავდროულად, ფართოვდება თარგმანთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიმღებთა წრე. მიუხედავად ერთგვარი ემანსიპაციისა წყარო ტექსტისგან, მთარგმნელის მიერ გადაწყვეტილების მიღება სხვა ფაქტორებითაც განისაზღვრება, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში დამკვეთის ინსტრუქციები განაპირობებს (შდრ. ჰოლცმენტერის მთარგმნელობითი ქმედების თეორია; იხ. Snell-Hornby 2006:56-60). თუმცა, ქმედების ზოგადი მიზნიდან გამომდინარე, კონკრეტული პროცედურების შერჩევა მთლიანად მთარგმნელის გადასაწყვეტია. ემანსიპაციის საკითხი, თავის მხრივ, ბუნებრივად ებმის თარგმანის ეთიკის საკითხს.

კონცეპტუალური თვალსაზრისით სკოპოსის თეორიას ჰოლცმენტერისეული მთარგმნელობითი ქმედების თეორიის გარდა, ერნსტ-აუგუსტ გატის რელევანტურობის თეორიასაც ამსგავსებენ. ორივე თეორია ქმედების რაციონალურ ასპექტს წამოსწევს და უპირატესობას სამიზნე კონტექსტს ანიჭებს. თუმცა, რელევანტურობის თეორია ასე შორს არ მიდის – იგი გამორიცხავს თავისუფალ თარგმანს (Chesterman 2010).

სკოპოსის თეორიის შესახებ სხვა მრავალი შეხედულებაც გამოითქვა. ჩესტერმანის აზრით, ბუნდოვანია თეორიის ონტოლოგიური სტატუსი. ზემოთ მითითებული მეორე და მესამე წესები დესკრიფციული, მეოთხე და მეხუთე კი გამოკვეთილად პრესკრიფციულია. თეორიის პრესკრიფციული კომპონენტები კი გარკვეულწილად დესკრიფციულიც არის, რადგან ფერმიერი წინასწარ ვარაუდობს ამა თუ იმ პირობებში კონკრეტული მიდგომით შესრულებულ თარგმანზე რეაქციას, რომელიც კონცეპტუალიზებულია ტერმინებით „წარმატება“ და „პროტესტი“. შემდეგ კი განზოგადების შედეგად ყალიბდება ინსტრუქციები, რომლებიც პრესკრიფციულ სახეს იღებს (2010). სწორედ პრესკრიფციული ელემენტების გათვალისწინებით განიხილავს ჩესტერმანი თეორიის სასწავლო პროგრამებში ინტეგრირების მნიშვნელობას. საგულისხმოა, რომ თავად ფერმიერისთვის სკოპოსი, როგორც ფუნქციური თეორია, არ ასხვავებს დესკრიფციულ და პრესკრიფციულ მიდგომებს (Vermeer 1996:26).

24 Translate/interpret/speak/write in a way that enables your text/translation to function in the situation in which it is used and with the people who want to use it and precisely in the way they want it to function (Nord 1997:29).

კითხვის ნიშნები ჩნდება ასევე სკოპოსის აქსიომების ემპირიულად დადასტურებასთან დაკავშირებით. კოლერის აზრით, თეორია მხოლოდ ვარაუდებს ეყრდნობა, ნორდის თანახმად კი, აუცილებელია როგორც სკოპოსის, ისე სხვა, მაგალითად, თუნდაც კოლერის ეკვივალენტობის თეორიის კორპუსული კვლევა (Nord:116).²⁵

ლინგვისტური პოზიციიდან ყველაზე მეტი კრიტიკა საწყის და სამიზნე ტექსტებს შორის მიმართებასთან დაკავშირებით გამოითქვა. სკოპოსის თეორიის ფარგლებში ფუნქციის ზედმეტი აქცენტირება და სემანტიკური განზომილების დაკნინება თარგმანის ადაპტაციისგან გამიჯვნას ართულებს. კელეტატის აზრით, ასეთ შემთხვევაში ლათინური ლიტერატურა მთლიანად თარგმანად უნდა განვიხილოთ (Chesterman 2010).

ჩესტერმანი ასევე განიხილავს თეორიის ეთიკურ ასპექტს, რაც საწყისი ტექსტისგან დაშორებას უკავშირდება. იგი აღნიშნავს, რომ საკამათოა მოსაზრება, თითქოს მეცნიერება არ უნდა იზღუდებოდეს ღირებულებებითა და ეთიკური მოსაზრებებით. ამგვარმა მიდგომამ შეიძლება „მთარგნელის დეჰუმანიზება“ და თარგმნის მექანიკურ, დაპროგრამებულ პროცესად გარდაქმნა გამოიწვიოს. თუმცა, ჩესტერმანი არ გამორიცხავს, რომ ფერმიერი ღირებულებებისგან თავისუფლებაში რაციონალობას გულისხმობს (Chesterman 2010).

მონა ბეიკერის აზრით, თეორია ზედმეტად იდეალისტურია და მხოლოდ წარმატებულ, ინდუსტრიულ საზოგადოებას ერგება. გარემო კი, რომელშიც მთარგმნელებსა და სხვა აქტორებს უხდებათ მუშაობა, ყოველთვის უკონფლიქტო არ არის. კრიტიკას იზიარებს ჩესტერმანი, რომელიც ფიქრობს, რომ მთარგმნელებს ზოგჯერ შეზღუდულ, „არაოპტიმალურ“ პირობებში უხდებათ მუშაობა (Chesterman 2010; Chesterman and Baker 2008:21-22).

კოლმაიერი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ უმართებულოა ლიტერატურული თარგმანის სკოპოსზე საუბარი, რასაც გარკვეულწილად ეთანხმება ჩესტერმანი (Chesterman 2010). ნორდის აზრით, სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს ნიუმარკი, როდესაც აღნიშნავს, რომ რაც უფრო მნიშვნელოვანია დედანი, მით უფრო ზედმიწევნით ზუსტად უნდა შენარჩუნდეს მისი მახასიათებლები თარგმანში (1997:120). მოგვიანებით, ფერმიერი თავადაც გამოეხმაურა კრიტიკულ შენიშვნებს (Vermeer 2004:231) და სცადა გაეხსნა თემა მოსაზრება, რომ ყველა ქმედებას და, საკუთრივ, თარგმნას²⁶ ყოველთვის არ აქვს მიზანი. მისი

25 ასევე იხ. Chesterman 2010.

26 იგულისხმება თარგმნის როგორც პროცესის, ასევე შედეგის ანუ ტრანსლატუმი-სა და მოდუსის სკოპოსები, რომლებსაც ასევე შეიძლება ჰქონდეს ქვესკოპოსები (Vermeer 2004:230).

აზრით, ლიტერატურული ტექსტი, მათ შორის პოეტური, შეუძლებელია, არ იყოს მიზანმიმართული ქმედების შედეგი. თუ ქმედებას არ აქვს მიზანი, იგი ვერ ჩაითვლება ქმედებად. ამგვარი მიდგომა არ გამოორიციხავს ლიტერატურული თარგმანისთვის დამახასიათებელ „რეტროსპექტულ თარგმანს“, ანუ საწყის ტექსტზე ორიენტირებას სკოპოსის გათვალისწინებით. ის, რომ ლიტერატურული ტექსტის მთარგმნელთა დიდი ნაწილი საწყისი ტექსტისადმი ერთგულებას ავლენს, უკვე ნიშნავს, რომ მათ მიზანი ამოძრავებთ. იგი ასევე უპირისპირდება მოსაზრებას, რომ გამოკვეთილი მიზნით თარგმნა ზღუდავს ინტერპრეტაციის არეალს და თარგმნის შესაძლებლობებს. მისი აზრით, სკოპოსმა შეიძლება გამოორიციხოს იმგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც თარგმანის მიზანს არ შეესაბამება (მაგ., საწყის ტექსტში წყარო კულტურასთან დაკავშირებულ ინტერტექსტუალურ რეალიებზე მითითება – Nord 1997:111), მაგრამ ერთ-ერთი სკოპოსი აუცილებლად იქნება საწყისი ტექსტის ინტერპრეტაციის სპექტრის შენარჩუნება. ამასთან, იგი პასუხობს კრიტიკულ მოსაზრებას, რომლის თანახმად ლიტერატურული ტექსტის მთარგმნელს შეიძლება ზუსტი წარმოდგენა არ ჰქონდეს ადრესატზე. ასეთ შემთხვევაშიც კი მთარგმნელს ჰყავს განსხვავებული ფონური ცოდნის მქონე ადრესატები და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად იგი სამიზნედ ირჩევს ადრესატთა შეზღუდულ წრეს, საზომად კი საკუთარი ცოდნის დონეს განიხილავს (Vermeer 2004:233). ამგვარად, მნიშვნელოვანია, რომ მთარგმნელმა იცოდეს მიზანი და ესმოდეს, რომ ეს მიზანი ერთ-ერთია მრავალ შესაძლო მიზანს შორის. საგულისხმოა, რომ დესკრიფციული კვლევების წარმომადგენელი ჰერმანსი დადებითად აფასებს ფუნქციურ თეორიებს, რადგან, მისი აზრით, წყარო ტექსტზე აპრიორი ორიენტირებას „მონოტონურ პრესკრიფციულობასთან“ ერთად ორიგინალის ზუსტად რეპროდუცირების უტოპიური კონცეფცია მოჰყვება შედეგად (Nord 1997:121).

ფერმიერის თეორიაში ასევე არ არის გამოკვეთილი, თუ რა ფაქტორები განაპირობებს თავად სკოპოსს და მის დომინანტობას. პიმის აზრით, სკოპოსის თეორია ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებს ტელეოლოგიურ ასპექტს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს ტექსტთან დაკავშირებულ საკითხებს. თარგმანის არარევერსიულობის შესახებ ჩესტერმანი აღნიშნავს, რომ მისი შემოწმება უკუთარგმანის საშუალებით არის შესაძლებელი, თუმცა, იგი ფიქრობს, რომ აბსოლუტური მტკიცება ნაკლებ გამართლებულია (მაგ., სიტყვის დონეზე თარგმანი მეტად რევერსიულია, ვიდრე უფრო მსხვილი ენობრივი ერთეულების შემთხვევაში).

ნაკლებად არის შესწავლილი, ჩესტერმანის აზრით, სკოპოსსა და მთარგმნელობით სტრატეგიებს შორის კორელაცია. სკოპოსის, როგორც „ყოველისმომცველი“ თეორიის ფარგლებში, ამგვარი მიმართულებით კვლევა აღარ გაგრძელებულა.

სკოპოსის თეორიის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის ანალიზისას, სელია მარტინ დე ლეონი რამდენიმე შეუსაბამობას გამოყოფს. მისი აზრით, თეორიის მეტაფორული სტრუქტურის ორი შემადგენელი – ტრანსფერი და სამიზნე – არათავსებადია. ტრანსფერის მეტაფორა ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტისკენ გადაადგილებას ითვალისწინებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ობიექტი გზაში არ იცვლება და შესაბამისად, ეკვივალენტობას გულისხმობს. ამავდროულად, იგი მნიშვნელობის დაკონკრეტებასაც შეიძლება ნიშნავდეს და დამკვეთის ინტენციის გათვალისწინებასაც. თარგმანის, როგორც წყაროს ტექსტის შესახებ „ინფორმაციის შეთავაზების“ კონცეპტი კი ტრანსფერის მეტაფორას უპირისპირდება. ტრანსფერის მეტაფორას ასევე გარკვეულწილად უკავშირდება ინტერტექსტუალური კოჰეზიურობაც, თუმცა მათი შესაბამისობა მეტაფორულ დონეზე საეჭვოა თანამედროვე კოგნიტური თეორიების გათვალისწინებით (Chesterman 2010).

მთარგმნელობითი ქმედების თეორია

ფუნქციური პარადიგმის ჭრილში განიხილება ფინეთში მოღვაწე გერმანელი მკვლევრის, იუსტა ჰოლც-მენტერის²⁷ მთარგმნელობითი ქმედების თეორია, რომელიც დიდწილად ჰვავს სკოპოსის თეორიას. ჰოლც-მენტერის ნაშრომი *Translatorisches Handeln. Theorie und Methode* (*Translatorial Action. Theory and Method*), რომელიც პირველად 1981 წელს წარმოადგინა და 1984 წელს გამოსცა, პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობის აქტუალურ საკითხებს ეხება. როგორც თავად ფერმიერი აღნიშნავს, ორ თეორიას შორის იმდენად მჭიდრო კავშირია, რომ ზოგჯერ მათ ერთი და იმავე ჩარჩო თეორიის ვარიანტებადაც განიხილავენ (Vermeer 1996:61f). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შემუშავდა და, როგორც თავად ავტორები ამტკიცებენ, მათ მხოლოდ მოგვიანებით დაიწყეს თანამშრომლობა საერთო ხედვის საფუძველზე (Snell-Hornby 2006:57).

ჰოლც-მენტერი თარგმნას ფონ რაითის ქმედების თეორიის, სოციალური ანთროპოლოგიისა და კომუნიკაციის თეორიებზე (Pym 2007:35) დაყრდნობით განიხილავს და მას „კონკრეტული მიზნის მიღწევის კომპლექსურ ქმედებად“ განმარტავს (Nord 1997:13). კომუნიკა-

27 ფინეთის ტამპერეს და ტურკუს უნივერსიტეტების პროფესორი

ციურ თეორიას იგი კულტურათმორისი კომუნიკაციის მონაწილეების ფუნქციების განსაზღვრით ეხმაურება, ხოლო ქმედების თეორია მას მთარგმნელობითი ქმედების მახასიათებლების გამოყოფის შესაძლებლობას აძლევს (Schäffner 2001:3; 2001a:235). თარგმნა, მისი აზრით, კულტურათმორის, უფრო ზუსტად კი, „კულტურის ბარიერებს მიღმა“ კომუნიკაციას ნიშნავს (Snell-Hornby 2006:59,154; Schäffner 2011:159). კომუნიკაციის პროცესს, ანუ თარგმნას მიზანი და ფუნქცია განსაზღვრავს და საბოლოო პროდუქტიც სწორედ ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით ფასდება. ამ კონტექსტში ნაკლებად მნიშვნელოვანია როგორც სამიზნე ტექსტის საწყისთან შედარება, ისე სხვა წმინდა ლინგვისტური ასპექტები (Schäffner 2001a:236).

თეორიის თანახმად, მთარგმნელობითი ქმედება მხოლოდ ერთი კომპონენტია კომპლექსური ქმედებების იერარქიაში და სხვა ასპექტებთან ერთად, მთარგმნელობითი ქმედების სოციალურ წესრიგში (შრომის დანაწილების პრინციპზე დაფუძნებულ სოციომში) მოქცევას გულისხმობს, რომლის აქტორების ფუნქციები ნიუანსირებულად არის წარმოდგენილი. კერძოდ, ჰოლც-მენტერი გამოყოფს შემდეგ მონაწილეებს: i) ინიციატორი (ის, ვისაც თარგმანი სჭირდება); ii) დამკვეთი (ის, ვინც მთარგმნელს უკავშირდება და უკვეთავს სამუშაოს); iii) წყარო ტექსტის პროდუცენტი (ის, ვინც ქმნის წყარო ტექსტს); iv) სამიზნე ტექსტის პროდუცენტი (მთარგმნელი/მთარგმნელები ან მთარგმნელობითი სააგენტო); v) სამიზნე ტექსტის მომხმარებელი (ის, ვინც იყენებს სამიზნე ტექსტს, მაგ., სასწავლო მასალად); vi) სამიზნე ტექსტის მიმღები (საბოლოო რეციპიენტი, მაგ., სამიზნე ტექსტის მომხმარებლის სტუდენტი). მთარგმნელობითი ქმედება, როგორც კომპლექსური პროცესი, შესაბამისად, რამდენიმე ეტაპისგან შედგება (თარგმანის დაკვეთა, საწყისი ტექსტის მიწოდება, სამიზნე ტექსტის მიზნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სხვ.) (Munday 2008:77-79; Nord 1997:12-13; Snell-Hornby 2006:56-60). ჰოლც-მენტერი ყველა აქტორს საკუთარი სფეროს ექსპერტად წარმოადგენს და მათ როლს პროცესში ურთიეთშემავსებლად განიხილავს. მიუხედავად ამისა, კონკრეტულ მთარგმნელობით გადაწყვეტილებებს მთარგმნელს უკავშირებს, რომლის – როგორც ექსპერტის – ქმედებაც, კულტურით განპირობებულ განსხვავებათა გადალახვას ემსახურება (Schäffner 2001:4). ამ ქმედების ფარგლებში კი, მისი აზრით, სამიზნე ტექსტის ფუნქციიდან გამომდინარე გამართლებულია საწყისი ტექსტის ელემენტების ჩანაცვლება. ქმედების შედეგი არის „შეტყობინების გადამცემის“ (Botschaftsträger) შექმნა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ქმედებათა ფართო კონფიგურაციის (Handlungsgefüge) კონტექსტში.

პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი არის ინსტრუქციები მთარგმნელისთვის (Produktspezifikation), რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა სახელწოდებით თითქმის ყველა ფუნქციურ თეორიაში გვხვდება.

არსებითი სიახლე, რომელიც თეორიის ფარგლებში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიაში აისახება, არის გამოკვეთილი აქცენტი პროცესზე, პროცესის მონაწილეთა როლზე და სიტუაციურ გარემოებებზე. ქრისტინა შეფენერის აზრით, სპეციფიკური ტერმინოლოგია, რომელსაც ჰოლც-მენტერი იყენებს, თეორიის ტრადიციული მიდგომებისგან გამიჯვნას ემსახურება (2001:3). იგი თარგმანს ეკონომიკურ საქმიანობად განიხილავს და არაერთ ტერმინს მარკეტინგიდან სესხულობს. ხშირ შემთხვევაში საგანგებოდ ამბობს უარს ტერმინებზე „თარგმნა“ და „მთარგმნელი/თარჯიმანი“ და მათ ნაცვლად იყენებს ტერმინებს „კულტურათშორისი კომუნიკაცია“ და „კულტურათშორისი კომუნიკაციის ექსპერტი“. ასევე აღსანიშნავია, რომ ზმნა „თარგმნა“ (übersetzen), გრამატიკული ნორმების თანახმად, ითხოვს დამატებას, რომლის რეფერენტი საწყის ტექსტია, რაც დააკნინებდა სამიზნე ტექსტის მნიშვნელობას (Schäffner 2001:3). იგი ასევე ერიდება ტერმინ „ტექსტი“ გამოყენებას, რომელსაც ანაცვლებს ტერმინით „შეტყობინების გადამცემები“ (Botschaftsträger), რადგან მისთვის მთავარი არის შეტყობინება და არა ლინგვისტური ერთეულების თანმიმდევრობა, როგორადაც ტექსტი ხშირ შემთხვევაში განიხილებოდა მისი ნაშრომების გამოქვეყნების პერიოდში. აქვე უნდა აღინიშნოს მარკეტინგის სფეროდან ნასესხები სხვა ტერმინები, მაგ., მომხმარებელი/დამკვეთი/კლიენტი/Bedarfsträger (Snell-Hornby 2006:58).

მთარგმნელებისთვის კულტურათშორისი კომუნიკაციის ექსპერტების სტატუსის მინიჭებით ჰოლც-მენტერი მათ მაღალი პასუხისმგებლობის მქონე აქტორებად წარმოადგენს მთარგმნელობით ქმედებაში ჩართულ სხვა მონაწილეთა გვერდით. მთარგმნელი მისთვის არის ძირითადი აქტორი, რომელიც მიზნიდან გამომდინარე წყვეტს, რა არის ყველაზე ოპტიმალური მოცემულ შემთხვევაში და ანალიტიკური, შეფასებითი და შემოქმედებითი ქმედებების შედეგად ქმნის საბოლოო პროდუქტს. ამგვარად, იგი მთარგმნელების როლს ავტორების, რედაქტორების და დამკვეთების როლს უთანაბრებს.

თეორიის ფარგლებში, საწყისი ტექსტის მნიშვნელობის ჩამოქვეითებაზე მიუთითებს ასევე ნაკლები ინტერესი საწყისი ტექსტის ანალიზისადმი, რომელიც მის მოდელში ვლინდება. ანალიზი სტრუქტურითა და ფუნქციით შემოიფარგლება და მხოლოდ კომუნიკაციური მიზნის მიღწევის ერთ-ერთ კომპონენტად განიხილება (Schäffner

2001:3). ქმედების ერთ-ერთი ოპერაციის მიზანია, განსაზღვროს, შესაბამება თუ არა საწყისი მასალის შინაარსისა და ფორმის მახასიათებლები სამიზნე სიტუაციას, რაც მთარგმნელისგან, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით სამიზნე კულტურაში არსებული კონვენციებისა და ტექსტობრივი ფანრების სპეციფიკის შესწავლას ითხოვს. შინაარსს განსაზღვრავს ტექტონიკა, რომელიც ფაქტობრივ ინფორმაციასა და ერთიან საკომუნიკაციო სტრატეგიას აერთიანებს, ხოლო ფორმას – ტექსტურა, რომელიც ტერმინოლოგიასა და კოჰეზიურ ელემენტებს მოიცავს. მაგალითად, თუ თარგმანის ექსპერტის აზრით, სახელმძღვანელოს საწყის ტექსტში მოცემული ტერმინი ტექნიკურ სფეროში გაუთვისებელი იქნებოდა სამიზნე ტექსტის მომხმარებლისთვის შეიძლება გაუგებარი იყოს, იგი უნდა განიმარტოს. ასევე ტექსტის კოჰეზიურობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა ერთი და იმავე ტერმინის თანმიმდევრულად გამოყენება ტექსტში (Munday 2008:78).

უფრო გვიანდელ ნაშრომებში ჰოლც-მენტერი ფუნქციური შეტყობინების გადამტანების შექმნის შესაძლებლობებს ბიოკიბერნეტიკის ქრილში განიხილავს (Nord 1997:13).

მთარგმნელობითი ქმედების თეორია საწყისი ტექსტის და უფრო ზოგადად, ენობრივი კომპონენტის როლის დაქვეითების და ადრეული ტრადიციიდან დისტანცირების თვალსაზრისით უფრო მეტად რადიკალური იყო, ვიდრე ფერმიერის მიდგომა. მერი სნელ-ჰორნბის აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ ჰოლც-მენტერი თარგმანსა და ენას შორის კავშირს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა, ერთგვარად ირონიული იყო ამ თეორიის პირველად გამოყენებითი ლინგვისტიკის საერთაშორისო ასოციაციის კონგრესზე წარდგენა, სადაც მის მიერ გამოყენებულმა არალინგვისტურად ორიენტირებულმა ტერმინოლოგიამ დაბნეულობა გამოიწვია. ამას თან დაერთო ისიც, რომ 1984 წელს გამოცემული პირველი საფუძვლიანი ნაშრომი, რომელიც ფინეთში გერმანელი მეცნიერებით დაკომპლექტებულ საბჭოს წარუდგინა უმაღლესი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, გერმანული აკადემიური სტილის სტანდარტებით იყო დაწერილი, ფინურად კი იგი ზედმეტად ტექნიკურად და რთულად მოეწვენათ (Snell-Hornby 2006:57). ამავე მიზეზით იგი სხვა მეცნიერებმაც გააკრიტიკეს. ნიუმარკმა მთარგმნელობითი ქმედების თეორია „ბიზნესისთვის დამახასიათებელი სტილის“ გამოყენების და, შესაბამისად, „თარგმანის რეალური პრობლემების“ დაჩრდილვის გამო დაიწუნა (Schäffner 2001:3). ჯერე-მი მანდემ თეორიის ნაკლად ჟარგონების სიჭარბე და, კულტურულ ტრანსფერზე აქცენტირების მიუხედავად, კულტურათშორისი განსხ-

ვაგებებისადმი უყურადღებობა დაასახელა. ნორდის აზრით, მართებულია ფუნქციური ასპექტის ხაზგასმა, თუმცა, არასწორია საწყისი ტექსტის სრულად იგნორირება (Munday 2008:79).

სნელ-ჰორნბის თანახმად, ყველაზე მეტი მოწონება თეორიას პრაქტიკოსი მთარგმნელების მხრიდან მოჰყვა. დუგლას რობინსონი, რომელიც თარგმანის კვლევის პარალელურად, პრაქტიკულ მთარგმნელობით სამუშაოსაც ასრულებს, ჰოლც-მენტერის ნაშრომს ყველაზე მრავლისმომცველ კვლევად ასახელებს (Snell-Hornby 2006:59).

*თარგმანზე ორიენტირებული ტექსტის ანალიზი:
ფუნქცია და ლოიალობა*

რაისის, ფერმიერისა და ჰოლც-მენტერის თეორიების ახლებურად გააზრების შედეგად, ფუნქციური თეორიების ავტორების მეორე თაობის²⁸ წარმომადგენელი ქრისტიან ნორდი შეიმუშავებს კონცეფციას, რომელიც თარგმანის გამოყენებით კვლევებზე, კონკრეტულად კი თარგმნის სწავლების ინტერესებზე ამახვილებს ყურადღებას (1997:123-128). მისი აზრით, ის, რაც თარგმანის ზოგადი თეორიის (სკოპოსის თეორია) ფარგლებში მისაღებია, რთულად წარმოსადგენია თარგმნის სწავლების კონტექსტში, რომელიც ვერასდროს იქნება „ზოგადი“ – იგი კულტურულ გარემოსა და დროშია ლოკალიზებული. თარგმანის მიმართ მოლოდინი სხვადასხვა ვითარებაში განსხვავებულია და მთარგმნელი არ არის ვალდებული, ყოველთვის დამორჩილდეს სამიზნე მკითხველის სურვილს. თარგმანის ძირითად კრიტერიუმად ნორდი სამიზნე მკითხველისადმი მორალურ პასუხისმგებლობას განიხილავს, რაც ნიშნავს, რომ მთარგმნელმა არასდროს უნდა მოატყუოს მკითხველი. სწორედ მთარგმნელობით ინტერაქციაში მონაწილე პარტნიორებისადმი პასუხისმგებლობის კონცეპტუალიზაცია ტერმინით „ლოიალობა“ (loyalty) და მისი ინტერპერსონალურ კატეგორიად გამოყოფა გამოარჩევს მას სხვა ფუნქციური თეორიებისგან. „ლოიალობა“ პრინციპულად განსხვავდება ტერმინისგან „ერთგულება“ (faithfulness/fidelity), რომელიც საწყის და სამიზნე ტექსტებს შორის მიმართებას გულისხმობს. როგორც ინტერპერსონალური კატეგორია, იგი უფრო ფართო, სოციალურ ურთიერთობაზე მიაწინებს და, ამგვარად, ერთდროულად გულისხმობს მთარგმნელის პასუხისმგებლობას წყარო და სამიზნე კულტურებისადმი/ტექსტებისადმი. საკუთარი ხედვის საილუსტრაციოდ ნორდი

²⁸ ფუნქციური სკოლის სხვა წარმომადგენლების შესახებ დეტალურად იხ. Nord 1997:130.

განიხილავს შემთხვევას, როდესაც მიუხედავად სამიზნე მკითხველის მოლოდინისა, მიიღოს სიტყვასიტყვით ნათარგმნი ტექსტი, მთარგმნელი თავისუფალი თარგმანის მიდგომას არჩევს. ასეთ შემთხვევაში, მან აუცილებლად უნდა მიუთითოს, რომ თარგმანი ზედმიწევნით არ მისდევს დედანს და განმარტოს მიზეზი, თუნდაც „პარატექსტური“ ერთეულების (მაგ., წინასიტყვაობა, სქოლიო, ან მინიშნებები თავად ტექსტში) გამოყენებით. ლოიალობის ცნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც ინსტრუქციებში მითითებული მიზანი არ შეესაბამება საწყისი ტექსტის ავტორის ინტენციებს და „კულტურულად სანქცირებულ მთარგმნელობით პრაქტიკას“ (Hatim 2013:85-86). მთარგმნელის როლი ორ კულტურას შორის შუამავლობას გულისხმობს და, შესაბამისად, იგი ერთი კულტურის მიერ მეორე კულტურაზე საკუთარი კონცეპტების თავს მოხვევას უნდა გამორიცხავდეს. თარგმნის პროცესში კულტურათშორისი განსხვავებების და საწყისი ტექსტის ავტორის კომუნიკაციური ინტენციის გათვალისწინება და პატივისცემა ფუნქციურ თეორიებს „ანტიუნივერსალისტურ“ მოდელად წარმოაჩენს (Nord 1997:126).

ფუნქციური მოდელის ფარგლებში ლოიალობის ცნების ინტეგრირებით ნორდი, ამავდროულად, საწყისი ტექსტიდან დაშორების რადიკალური მიდგომის შერბილებასაც ცდილობს და მთარგმნელისადმი ნდობის გაზრდასაც. მისი აზრით, საწყისი ტექსტის ავტორები, რომლებიც თარგმნის სფეროს ექსპერტები არ არიან, უმეტესად ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის მაქსიმალურად უცვლელად შენარჩუნებას ითხოვენ, მაგრამ მთარგმნელის ლოიალობაში დარწმუნების შემთხვევაში უფრო ადვილად შეეგუებიან ცვლილებას. ეს კი, თავის მხრივ, მთარგმნელის, როგორც სანდო პარტნიორის, სოციალური პრესტიჟის ამაღლებასაც შეუწყობს ხელს (Nord 1997:125-126).

სწავლების კონტექსტში ნორდი ასევე განიხილავს თარგმანთან დაკავშირებული ინსტრუქციების, საწყისი ტექსტის წინასწარი, თარგმნამდე ანალიზისა და მთარგმნელობითი პრობლემების იერარქიის საკითხებს (Nord 1997:59ff).

თარგმანთან დაკავშირებული ინსტრუქციები, ნორდის აზრით, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ტექსტის სამიზნე კონტექსტში სავარაუდო ფუნქცი(ებ)ის, ადრესატ(ებ)ის, ტექსტის რეცეფციის ადგილისა და დროის, ტექსტის გადაცემის მედიუმისა და ტექსტის პროდუცირებისა და რეცეფციის მოტივების შესახებ. საგულისხმოა, რომ საწყისი ტექსტის წინასწარი ანალიზი საწყისი და სამიზნე ტექსტების სიტუაციების შედარებას ეყრდნობა, რადგან ტექსტის ვერბალურ ელემენტებს სწორედ კომუნიკაციური სიტუაცია განაპირობებს. ამის შემდეგ

წყვეტს მთარგმნელი, რომელია „ყველაზე ოპტიმალური პროცედურა“: საწყისი ტექსტის ანალიზის კონტექსტში ნორდი რამდენიმე ფაქტორს გამოყოფს. ესენია: საგანი, შინაარსი (კონოტაციისა და კოჰეზიის ჩათვლით), პრესუპოზიციები, კომპოზიციის (მიკრო- და მაკრო-სტრუქტურა), არავერბალური ელემენტები (მაგ., ილუსტრაციები), ლექსიკა (დიალექტი, რეგისტრი და ტერმინოლოგია), წინადადების სტრუქტურა და სუპრასეგმენტული მარკერები (მახვილი, რიტმი, და „სტილისტური პუნქტუაცია“). თარგმნასთან დაკავშირებული პრობლემების იერარქიას კი შემდეგნაირად ადგენს: თარგმანის ინტენციური ფუნქციის განსაზღვრა და, შესაბამისად, დოკუმენტური ან ინსტრუმენტული თარგმანი; იმ ფუნქციური ერთეულების განსაზღვრა, რომლებიც სამიზნე კონტექსტზე მორგებას საჭიროებს; თარგმანის ტიპის განსაზღვრის შედეგად მიდგომის/„სტილის“ შემუშავება (საწყის ან სამიზნე კულტურაზე ორიენტაცია); ტექსტთან დაკავშირებული პრობლემების მიკრო-ლინგვისტურ დონეზე გადაჭრა.

ნორდის მიერ საგანგებოდ გამოყოფილი დიქტომია *დოკუმენტური vs. ინსტრუმენტული თარგმანი* (Nord 1997:47-50; Munday 2008:82), სხვა ასპექტებთან ერთად, მკითხველისადმი მორალურ ვალდებულებას ასახავს. დოკუმენტური თარგმანი საწყისი კულტურის კონტექსტში ადრესანტსა და ამავე კულტურის ადრესატს შორის ტექსტური კომუნიკაციის ამსახველი „დოკუმენტი“; ინსტრუმენტული თარგმანი კი საწყისი კულტურის ადრესანტსა და სამიზნე კულტურის აუდიტორიას შორის სამიზნე ენაზე ახალი კომუნიკაციური ინტერაქციის ინსტრუმენტის შექმნას ემსახურება, რისთვისაც საწყის ტექსტს (მის ცალკეულ ასპექტებს) იყენებს მოდელად. დოკუმენტური თარგმანი ერთგვარი მეტატექსტია, სამიზნე ენაზე მკითხველი კი კომუნიკაციის დამკვირვებელი, რომელმაც იცის, რომ თარგმანს კითხულობს და არა ორიგინალს. ამ ტიპს მიეკუთვნება სიტყვასიტყვით, გრამატიკული, ფილოლოგიური/აკადემიური თარგმანი და „ეგზოტიცირება“ (საწყისი კულტურის რეალიების უცვლელად შენარჩუნება სამიზნე ტექსტში). დოკუმენტური თარგმანი ცვლის ტექსტის ფუნქციას (აპელაციური ტექსტი შეიძლება იქცეს ინფორმაციულ ტექსტად საწყისი კულტურის შესახებ). ინსტრუმენტული თარგმანი, პირიქით, ორიგინალის მსგავსი ფუნქციების შენარჩუნებას ემსახურება და სამიზნე მკითხველი მას კითხულობს, როგორც მის ენაზე შექმნილ ტექსტს.²⁹

29 შდრ. ჯულიან ჰაუსის ფარული/შენიღბული (covert) და აშკარა/ღია (overt) თარგმანისა (House 2001:199) და ლორენს ვენუტის „გაშინაურებით“ და „გაუცხოებით“ თარგმნის დიქტომიები (Venuti 2008).

ამასთან, ნორდი ფუნქციური ინვარიანტობის კრიტერიუმზე დაყრდნობით ინსტრუმენტული თარგმანის სამ ფორმას გამოყოფს (Nord: 50-52). ესენია: i) ეკვიფუნქციური (სამიზნე და საწყისი ტექსტების ფუნქციები ერთმანეთს ემთხვევა და ძირითადად ტექნიკურ ტექსტებში, ინსტრუქციებსა და რეცეპტებში გვხვდება); ii) ჰეტეროფუნქციური (საწყისი და სამიზნე ტექსტების ფუნქციები განსხვავებულია; მაგ., „გულივერის მოგზაურობა“) და iii) ჰომოლოგიური (ამ შემთხვევაში, სამიზნე, უმეტესად ლიტერატურულ, ტექსტს სამიზნე კულტურის ტექსტობრივ კორპუსში იგივე სტატუსი აქვს, რაც ორიგინალს საწყისი კულტურის კორპუსში; მაგ., ბერძნული ჰექსამეტრი ინგლისურად ითარგმნება თავისუფალი ლექსით, რომელიც ისევე ტიპურია ინგლისურისთვის, როგორც ჰექსამეტრი ძველი ბერძნულისთვის).

ნორდი თარგმანს პოლიტიკური და კულტურული ტრანსფორმაციის ხელშემწყობ ფაქტორად განიხილავს. საილუსტრაციოდ მას მოჰყავს სამხრეთ აფრიკის მაგალითი, სადაც პირველი დემოკრატიული არჩევნების შედეგები და შემდგომში სახელმწიფოებრივი განვითარება აფრიკის ცხრა ენაზე სამიზნე საზოგადოებაზე მორგებულმა წინასაარჩევნო ტექსტებმა განაპირობა (Nord 1997:135-136). ნორდი ფუნქციური თეორიების პერსპექტივას დადებითად აფასებს მათგან განსხვავებით, ვინც თანამედროვე კორპორაციული ღირებულებების მიუღებლობის გამო, ეჭვის თვალთ უყურებს თარგმანისადმი ფუნქციურ მიდგომას. გენცლერის აზრით, იუჯინ ნაიდას დინამიკური ეკვივალენტობა მისი მისიონერული მიზნებით აიხსნება, ფუნქციური თეორიებისთვის კი ამგვარი მოტივი ძლიერი სოციალური და ბიზნეს-ინსტიტუციების მიერ მეტი ზეგავლენის მოპოვება და „გაყიდვის მისია“ შეიძლება იყოს (Gentzler 2001:73-74).

ნორდი ზემოთ განხილული ფუნქციური თეორიების სინთეზურ და განახლებულ ვარიანტს გვთავაზობს, რაც უპირველესად ლოიალობის ცნების შემოტანას უკავშირდება. ჰოლც-მენტერის მსგავსად, იგი თარგმანის პროცესში მონაწილეების როლს ითვალისწინებს, ტექსტის ფუნქციების ანალიზისას რაისისა და ფერმიერის მოდელს ეყრდნობა, თუმცა უარს ამბობს სკოპოსის აბსოლუტურ დომინანტობაზე, საწყისი ტექსტის ანალიზისას კი, რაისის მსგავსად, დედნის ფუნქციურ და ჟანრობრივ მახასიათებლებს განიხილავს (Munday 2008:84). ჩესტერმანის აზრით, ნორდის თეორიას ფერმიერისგან ტექსტის კონკრეტული, მატერიალური ასპექტებით დაინტერესება გამოარჩევს (Chesterman:2010).

ამგვარად, 1980-იან წლებში თარგმანის კვლევებში ლიტერატურისმცოდნეობითი და ლინგვოსემიოტიკური პერსპექტივების სოციოკულტურული პერსპექტივით ჩანაცვლება ახალი, მათ შორის, პოლისისტემებისა და ფუნქციური პარადიგმების გაჩენას უკავშირდება. შედეგად, თარგმანი განიხილება არა მხოლოდ როგორც ენათშორისი, არამედ უპირველესად როგორც კულტურათშორისი ქმედება, რომელშიც ძალაუფლებრივად არაიდენტური/არათანაბარი კულტურები ერთვება.

დამოწმებანი

- Baker**, Mona. 1993. Corpus Linguistics and Translation Studies. Implications and Applications. In *Text and Technology: In Honour of John Sinclair*. Mona Baker, Gill Francis, and Elena Tognini-Bonelli (eds). 233-50. Philadelphia/Amsterdam: John Benjamins Publishing Company
- Baker**, Mona. 2001. Norms. In Baker 2001, 163-165
- Baker**, Mona (ed). 2001. The Routledge Encyclopedia of Translation Studies. London and New York: Routledge
- Bassnett**, Susan and André Lefevere. 1997. *Constructing Cultures*. London: Multilingual Matters
- Bassnett**, Susan. 2014. *Translation*. London and New York: Routledge
- Brownlie**, Siobhan. 1999. *Investigating Norms*. In *Translation and the (Re)location of Meaning. Selected Papers of the CETRA Research Seminars in Translation Studies 1994-1996*. ed. Jeroen Vandaele. Leuven, Belgium: CETRA
- Catford**, J. C. 1965. *A linguistic Theory of Translation: An Essay in Applied Linguistics*. London: Oxford Univeristy Press
- Chesterman**, Andrew. 1997. *Memes of Translation. The Spread of Ideas in Translation Theory*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company
- Chesterman**, Andrew. 2010. Skopos Theory: A Retrospective Assessment. In: W. Kallmeyer et al. (eds). *Perspektiven auf Kommunikation. Festschrift für Liisa Tittula zum 60. Geburtstag*, 209-225. Berlin: SAXA Verlag. <http://www.helsinki.fi/~chester/2010a.skopos.html>
- Chesterman**, Andrew and Mona Baker. 2008. Ethics of Renarration. *CULTUS* 1, 10-33

- Even-Zohar**, Itamar. 2004. The Position of Translated Literature within the Literary Polysystem. In Venuti 2004, 199-204
- Gentzler**, Edwin. 2001. Contemporary Translation Theories (Topics in Translation). Revised 2nd edition. Clevedon: Multilingual Matters
- Hatim**, Basil. 2013. Teaching and Researching Translation. 2nd ed. Oxon, UK; New York, USA: Routledge
- Hermans**, Theo. 1996. Norms and the Determination of Translation: A Theoretical Framework. In: Alvarez, R. and Vidal, M. (eds.) *Translation, Power, Subversion*, 25-51. Clevedon: Multilingual Matters
- Hermans**, Theo. 2014. Positioning Translators: Voices, Views and Values in Translation. *Languages and Literature*, 23 (3), 285-301
- Holmes**, James. 2004. The Name and Nature of Translation Studies, In Venuti 2004:138-143
- Holmes**, James, Frans de Haan and Anton Popovič (eds). 1970. The Nature of Translation. Essays on the Theory and Practice of Literary Translation. The Hague: Mouton
- Holmes**, James. 1970a. Forms of Verse Translation and the Translation of Verse Form. In: Holmes, de Haan and Popovič (eds) 1970, 91-105
- House**, Julian. 2001. Quality of Translation. In Baker 2001, 197-200
- Kade**, Otto. 1968. Zufall und Gesetzmäßigkeit in der Übersetzung. Leipzig: Enzyklopädie
- Lefevere**, André. 1992. Translating Literature: Practice and Theory in a Comparative Literature Context. New York: The Modern Language Association of America
- Munday**, Jeremy. 2008. Introducing Translation Studies: Theories and Applications. 2nd ed. London and New York: Routledge
- Neubert**, Albrecht. 1985. Text and Translation. Leipzig: Enzyklopädie
- Neubert**, Albrecht and Gregory M. Shreve. 1992. Translation as Text. Kent, Oh: Kent State University Press
- Nord**, Chritiane. 1991. Scopos, Loyalty and Translational Conventions. *Target*, iii, 1, 91-110
- Nord**, Christiane. 1997. Translation as a Purposeful Activity. Functionalist Approaches Explained. Manchester: St Jerome Publishing
- Popovič**, Anton. 1970. The Concept “Shift of Expression” in Translation Analysis. In: Holmes, de Haan and Popovič (eds) 1970, 78-87

- Prunč**, Erich. 2001. *Einführung in die Translationswissenschaft*. Band 1, *Orientierungsrahmen*. Graz: Institut für Translationswissenschaft. Quoted in: Snell-Hornby 2006
- Pym**, Antony. 2007. Philosophy and Translation. In: *A Companion to Translation Studies*. Ed. Piotr Kuhiwczak and Karin Littau. 24-44. Multilingual Matters Ltd: Clevedon
- Pym**, Anthony. 2014. *Exploring Translation Theories*. 2nd edition. London and New York: Routledge
- Reiss**, Katharina. 1971/2000. *Möglichkeiten und Grenzen der Übersetzungskritik*, Munich: M. Hueber, translated (2000) by E. F. Rhodes as *Translation Criticism: Potential and Limitations*, Manchester: St Jerome and American Bible Society. Quoted in: Munday 2008
- Reiss**, Katharina and Hans J. Vermeer. 2013/2014. *Towards a General Theory of Translation Action. Skopos Theory Explained*. Tran. Christiane Nord. London and New York: Routledge
- Schäffner**, Christina. 1998. The Concept of Norms in Translation Studies. In *Current Issues in Language and Society* Vol. 5, Iss. 1-2, 1-9. Published online 23 Apr 2010. <http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13520529809615500>
- Schäffner**, Christina. 1999. *Translation and Norms*. Christina Schäffner (ed.). Clevedon: Multilingual Matters
- Schäffner**, Christina. 2001. Action. In Baker 2001, 3-5
- Schäffner**, Christina. 2001a. *Skopos Theory*. In Baker 2001, 235-238
- Schäffner**, Christina. 2011. *A Handbook of Translation Studies. Volume 2*. In Yves Gambier and Luc Van Doorslaer (eds). 157-162. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company
- Snell-Hornby**, Mary. 1990. Linguistic Transcoding or Cultural Transfer? A Critique of Translation Theory in Germany. In Bassnett and Lefevere (eds). *Translation, History and Culture*. 79-86. London and New York: Pinter Publishers
- Snell-Hornby**, Mary. 2006. *The Turns of Translation Studies: New Paradigms of Shifting Viewpoints?* Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company
- Snell-Hornby**, Mary, Gustavo Althoff and Alice Leal. 2011. Interview with Mary Snell-Hornby. *Impactum*. Coimbra University Press. Universidade Federal de Santa Catarina. URL:<http://hdl.handle.net/1036.2/33059>

- Toury, Gideon.** 1995. *Descriptive Translation Studies and Beyond*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company
- Toury, Gideon.** 1995a. The Notion of 'Assumed Translation' – An Invitation to a New Discussion. In *Letterlijkheid, Woordelijkheid / Literality, Verbality*. H. Bloemen, E. Hertog & W. Segers (eds), 135-147. Antwerpen/Harmelen: Fantom
- Venuti, Lawrence (ed).** 2004. *The Translation Studies Reader*. 2nd edition. New York and London: Routledge
- Venuti, Lawrence.** 2008. *The Translator's Invisibility. A History of Translation*. 2nd edition. New York and London: Routledge
- Vermeer, Hans.** (ed.). 1989a. *Kulturspezifiek des translatorischen Handelns*. Heidelberg: mimeo. Quoted in: Snell-Hornby 2006
- Vermeer, Hans J.** 1996. A Skopos Theory of Translation (Some Arguments For and Against). Heidelberg: TEXTconTEXT. Quoted in: Chesterman 2010
- Vermeer, Hans J.** 2004. Skopos and Commission in Translation Action. Tran. Andrew Chesterman. In: Venuti 2004, 227-238
- Тынянов, Ю. Н.** 1929. Архаисты и новаторы. Москва: Академия
- Тынянов, Ю. Н.** 1977. О литературной эволюции. *Поэтика. История литературы. Кино*. Москва: Наука, 270-281
- Эйхенбаум, Б. М.** 1927. Литература: Теория. Критика. Полемика. Ленинград: Прибой
- Эйхенбаум, Б. М.** 1929. Литературный быт. Мой современник, 49-58. Ленинград: Изд. писателей